ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურა ჩაჩუა

საქართველო ციფრული ეპოქის კვალდაკვალ: მართლმადიდებელთა ვირტუალური იდენტობები

სამაგისტრო პროგრამა

სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფსიქოლოგიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აკადემიური ხელმძღვანელი: **ლალი სურმანიძე**

ასოცირებული პროფესორი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

თბილისი, 2015

ანოტაცია

ინფორმაციულ ეპოქაში ადამიანები უფრო და უფრო ეჯაჭვებიან ვირტუალურ სოციალურ სამყაროებს. ვირტუალური ქსელების მომხმარებელთა დღითიდღე მზარდი რაოდენობა თემას უპირობოდ აქტუალურს ხდის. მოცემულ საკითხზე საფუძვლიანი დაკვირვება და მისი ანალიზი საზოგადოებაში არსებული სოციალური, რელიგიური და ეთიკური მწვავე გამოწვევების ვიზუალიზაციისა და გაანალიზების საშუალებას მოგვცემს.

საქართველოში, ანუ ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ტრადიციული მედიის თავისუფლება ხშირად იზღუდებოდა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ვირტუალური სოციალური ქსელების საშუალებით ავრცელებენ და იღებენ ადამიანები მეტ-ნაკლებად მიუკერძოებელ ინფორმაციას. ვფიქრობ, ქართული საზოგადოება მეტისმეტად პოლიტიზირებულია, ამ საკითხზე საკმაო რაოდენობის კვლევაც არსებობს. მე შევეცდები პოლიტიკას გვერდი ავუარო - ჩემი საკვლევი ინტერესისა და აღწერის საგანს „გაციფრულებული“ სოციალური იდენტობები, კერძოდ, მათი რელიგიური განზომილებები წარმოადგენს. მოცემული კვლევის მიზანია, დადგინდეს, არის თუ არა საქართველოში ტენდენცია სოციალურ ქსელთაგან ყველაზე მასშტაბურმა და ფართოდ გამოყენებადმა - ფეისბუქმა - მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ქართული საზოგადოების ვირტუალურ იდენტობებსა თუ ზოგად სოციალურ ცხოვრებაზე.

იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ფეისბუქი რელიგიურ პროცესებზე, მწირი ინფორმაციაა, მეტადრე ვერაფერი მოვიძიე საქართველოში ჩატარებული კვლევების შესახებ. მაშასადამე, ამ მხრივ მეორადი მონაცემების ნაკლებობაა, მაგრამ ეს დამატებითი გამოწვევა და კარგი მოტივატორი უფროა, ვიდრე ხელშემშლელი ფაქტორი. ამ ნაშრომის ამოცანები ქართველების მართლმადიდებლური ონლაინ-იდენტობათა ჩამოყალიბების

აღწერა, ამ იდენტობათა რეალურ სოციალურ იდენტობებთან მიმართება, „ვირტუალური ეთნიკურობისა“ და რელიგიურობის ურთიერთდამოკიდებულების გამორკვევაა.

კვლევის ძირითად მეთოდად სიღრმისეული ინტერვიუების დისკურსული ანალიზი დავსახე. ეს გადაწყვეტილება საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე მივიღე - მოგეხსენებათ, როგორი მძაფრი ვნებათაღელვა გამოიწვია რელიგიასთან დაკავშირებულმა საკითხებმა უახლოეს წარსულში. ვფიქრობ, მხოლოდ „მშრალი“ კითხვარები ბევრ ბუნდოვან ასპექტს პასუხგაუცემელს დატოვებდა. პირისპირმა ინტერვიუებმა კი ისეთი რამეები გამოიტანა სააშკარაოზე, რაზეც კვლევის დასაწყისში ვერც კი ვიფიქრებდი.

Chachua Z.

Georgia in the Digital Age: Virtual Identities of Orthodox Christians

Annotation

In the digital age humans are getting more and more attracted to virtual social networks. Speed at which the number of users of such social networks grow makes this subject undoubtedly focal point of our everyday life. Observing the question will create the possibilities of visualization and analyzing social, religious and ethical challenges presented in a civilized society.

As a result of different political situations Georgia became a country in which the freedom of traditional media was often restricted. Therefore, it’s not a surprize that virtual social newtorks are becoming the main source of impartial informational flow in Georgia. To my mind, Georgian society is excessively politicized and there are quite enough researches made about this topic. As for me, I try to avoid the politics – my target of research will be “digitalized” social identities, specifically their religious dimensions. My main goal is to determine whether the largest virtual social network in Georgia – facebook – has the potential to influence on virtual identities and general social life of the Georgian people.

Basically there is no secondary data about the impacts of facebook on religious practices in Georgia. But this should serve as a challenge and a good motivator for the research, not an obstacle. Tasks of the research are describing orthodox online identities of Georgians, determining interdependence of such identites with real social identities, finding out relationship between “virtual ethics” and religiosity.

The basic method of the research will be discursive analysis of the interviews. I made such decision because of the sensitivity of the subject – as you know, there was a huge passion outbreak as intense religious feelings were concerned in the nearest past of Georgia. I think that sketchy questionnaires would leave many obscured questions without responses. Face to face interviews put very interesting problems on the front burner - problems that I couldn’t even imagine in the beginning of the research.

შინაარსი

შესავალი 6

ვირტუალური აქტივობის ცხოვრებაში ტრანსფორმაცია 10

1.1 ნიღბის ეფექტი 14

1.2 ვირტუალური ემოციის ავთენტურობა 17

1.3 სენსიტიური თემები 20

ფეისბუქის გავლენა ქართულ მართლმადიდებლობაზე 23

2.1 ციფრული რელიგია 24

2.2 ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ მართლმადიდებელი 27

2.3 რიტუალიზმი ფეისბუქში 29

ფეისბუქმა რა ჰქმნა?! 32

მონაცემთა ინტერპრეტაცია 34

3.1 ვირტუალური ემოციები „ნამდვილია“ 36

3.2 გაცოცხლებული რელიგია 38

3.3 ფეისბუქ-აღსარება 40

3.4 მიცვალებული აღდგა! 42

3.5 „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“ 46

3.6 ღმერთის ტაბურეტი 51

დასკვნა 61

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 64

შესავალი

ვირტუალურმა სოციალურმა ქსელებმა ნაცნობებსა თუ მეგობრებთან კონტაქტი წარმოუდგენლად გაამარტივა და უმოკლეს დროში ადამიანთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ისინი ინფორმაციის სწრაფად მიღების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა - მათი მეშვეობით მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან უწყვეტ კავშირში ვიმყოფებით, გამოვხატავთ საკუთარ მოსაზრებებსა და ვაფიქსირებთ დამოკიდებულებებს ამა თუ იმ შემთხვევების მიმართ. იმართება უამრავი დისკუსია სხვადასხვა თემაზე. თუმცა, ყველაზე „ცხელი“ თემები, ჩვეულებრივ, პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ხასიათისაა. როგორც აღვნიშნე, მოცემული ნაშრომი მეტწილად რელიგიურობის ციფრულ განზომილებებზე კონცენტრირდება.

ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი საზოგადოება საგონებელში ჩააგდო. ბევრი რამ იმაზე მიუთითებს, რომ ქართველები საკმაოდ პოლარიზებულ სოციუმს ვქმნით. ცალკეული პიროვნებები თუ სოც-გაერთიანებები მიხვდნენ, რომ ინფორმაციული ეპოქის მთავარ მონაპოვარს ინტერნეტი წარმოადგენს. იგი იმდენად მძლავრ ინსტრუმენტად იქცა, რომ ამჟამად კიბერსივრცის პირადი ინტერესებისთვის გამოყენებას უკვე ბევრი პიროვნება აქტიურად ცდილობს. სხვადასხვა საზოგადო მოღვაწე თუ სასულიერო პირი ვირტუალურ სოციალურ ქსელებს იმისთვის იყენებს, რომ ადამიანები საკუთარ მხარდამჭერებად ან მათი იდეების გამტარებლებად აქციონ.

ცივილიზებული სამყარო ყველაზე მასშტაბური სოციალური ქსელის - ფეისბუქის - ეპიდემიამ მოიცვა. საქართველოშიც ყველაზე გავრცელებული ქსელი ფეისბუქია, ამ მხრივ ფრიად შთამებჭდავი სტატისტიკა გვაქვს - 911,900 მომხმარებელი (დეკ. 31, 2012, http://www.internetworldstats.com). მაშასადამე მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებად ეს ქსელი იქცა. ამას თავისი მიზეზებიც აქვს: ფეისბუქი

რეგისტრაციის, ავტორიზაციის, მეგობრების პოვნის მარტივი მექანიზმით გამოირჩევა, რაც მის არეალს აფართოებს და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობას ზრდის. ის ცნობად სახეებთან კომუნიკაციის საშუალებაცაა. პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, მოძღვრები ფეისბუქის სხვადასხვა ინსტრუმენტებს საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად აქტიურად იყენებენ. საქართველოში ეს ტრადიცია ძალიან მალე დამკვიდრდა, მატებაც დინამიკურია და, როგორც ჩანს, ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. აღნიშნული ვირტუალური სოციალური ქსელის გამოყენება მრავალმხრივად შეიძლება. ერთი ტიპის ადამიანთათვის იგი ურთიერთობის ეფექტური საშუალებაა, სხვებისთვის ნაცნობების პოვნის ახალი შესაძლებლობა. სტატისტიკოსებისთვის და, განსაკუთრებით, ქართველი მარკეტინგის სპეციალისტებისთვის ფეისბუქი სასურველი სარეკლამო გზაა, ხანდახან კი იგი „უბრალო მოკვდავთათვის“ საკუთარი პოზიციის გამოხატვის საყვირად იქცევა.

სოციალური ქსელის ერთი მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ ცალკეული მომხმარებლის მიერ მიღებული ინფორმაციის მოცულობასა და ხარისხს ამ პირთა ფეისბუქ-მეგობრები განაპირობებენ. მაშასადამე, ინფორმაციის თემატიკა, სიმწვავე და ვალიდურობაც კი პირდაპირ ფეისბუქის „სამეგობრო“ წრესთანაა კავშირში. ყოველდღიურად ჩვენ თავადაც უამრავი ინფორმაციის გამტარი ვხდებით და ეს ორი სრულიად მარტივი მექანიზმით - „გაზიარებითა“ და „მოწონებით“ ხერხდება. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ფეისბუქის აქტიური მომხმარებლები თავისდაუნებურად ყველაზე ინფორმირებული გახდნენ, რადგან სხვა მედია საშუალებებთან შედარებით ბევრად უფრო ჭარბ ინფორმაციულ ნაკადებს აწყდებიან.

ამგვარად, იკვეთება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ფეისბუქს დიდი გავლენა აქვს დღევანდელი საქართველოს სოციალურ და რელიგიურ ცხოვრებაზე. შესაძლოა ეს იმის დამსახურებაცაა, რომ იგი სხვა სოციალური ქსელებისგან კარდინალურად გამორჩეულია. ამერიკასა და ევროპაში ხშირად საუბრობენ მის დიდ ეფექტებზე, რომელიც უახლოეს ისტორიაში მომხდარ რევოლუციებსა და სხვა მნიშვნელოვან სოციალურ პროცესებზე მოახდინა (მოვლენები

ეგვიპტეში, ირანის წინააღმდეგ პროპაგანდა, რუსეთის მიტინგის შეკრება და ა.შ.). ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე ჩვენი საზოგადოება რეაქციონერულობით გამოირჩევა, რაც ქართულ სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში გაუთავებელი მიტინგებითა და აქციებით გამოიხატა. ქართველები, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, სოციალური მედიის სინდრომით დავვირუსდით - ძნელად თუ შეხვდებით ადამიანს, ვინც, სულ მცირე, მისი პასიური მომხმარებელი მაინც არაა. ვფიქრობ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა დღესდღეობით ძალიან აქტუალური და საინტერესო თემაა საკვლევად.

ჩემი კვლევის **მიზანი** ქართველთა მართლმადიდებლური ონლაინ-იდენტობების, მათი წარმომქმნელი პროცესების, ამგვარ იდენტობებზე ფეისბუქის გავლენის აღწერა და ანალიზია.

ამოცანები: კვლევის ამოცანები აქტიურ ქართველ ფეისბუქ-მომხმარებელთა გამოკითხვა, მათი რელიგიური და სოციალური ატიტუდების ძიებაა, რაც, საბოლოო ჯამში, მთელი ქართული საზოგადოების რეპრეზენტატიული იქნება.

მეთოდი: კვლევის ძირითად მეთოდად სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერა და ანალიზი გადავწყვიტე. თუმცა, ცალკე მინდა გამოვყო დაკვირვებაც, რომელიც გამომადგა იმდენად, რამდენადაც თავადაც ფეისბუქის მომხმარებელი გახლავართ და ჩემთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა ამ ნაშრომისთვის საინტერესო პროცესებზე დაკვირვება: ეს კვლევის პარალელურადაც ხდებოდა და მანამდეც. აღნიშნული საკითხები უწინაც მაინტერესებდა და, შეიძლება ითქვას, დაკვირვება ბევრად უფრო ადრე დავიწყე, ვიდრე სამაგისტრო ნაშრომის თემას ავირჩევდი.

ეტაპები: უკვე ჩატარებული კვლევების შესახებ ლიტერატურის მოძიება და შესწავლა; სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმის აგება, რესპონდენტების შერჩევა, ინტერვიუების ჩაწერა, ტრანსკრიპტების მომზადება და გაანალიზება.

შერჩევა: კვლევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ჩატარდა.

ჰიპოთეზა: ფეისბუქი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს რეალობაში მიმდინარე სოციალურ და რელიგიურ პროცესებზე, მართლმადიდებელთა ონლაინ-იდენტობების ჩამოყალიბებაზე და, ხშირად, წარმართავს კიდეც მათ.

მონაცემთა დამუშავება: მიღებული მონაცემები ზოგადი თემატური ანალიზისა და დისკურსული ანალიზის მეშვეობით განვიხილე და დავამუშავე. კვლევის პროცესში მივხვდი, რომ საკითხი ბევრად ღრმა აღმოჩნდა და თვისებრივი კვლევის სხვა მექანიზმების ჩართვაც გახდა საჭირო, სახელდობრ ფოკუს ჯგუფის ჩატარება. თუმცა, ეს არ გახლდათ ფოკუს ჯგუფი კლასიკური გაგებით, ეს მის ვირტუალურ ნაირსახეობას წარმოადგენდა და იგი სწორედ ფეისბუქის მეშვეობით ჩავატარე, რაც არც ისე რთული გამოდგა - დღესდღეობით გაგიჭირდებათ ისეთი ადამიანის მოძებნა, ვისაც ფეისბუქი არ გააჩნია. ვირტუალური ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ექსპერიმენტს ენთუზიაზმით შეხვდნენ და ინტერვიუებში დარჩენილი სიცარიელეები საბოლოოდ შეივსო.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ამ თავებში შემავალი ქვეთავებისა და დასკვნისაგან. პირველი ორი თავი ძირითადად თეორიულ მიმოხილვასა და მათ ანალიზს ეძღვნება, მესამე თავი კი ჩემ მიერ ჩატარებულ ემპირიულ კვლევასა და მონაცემთა ინტერპრეტაციას მოიცავს.

თავი I

ვირტუალური აქტივობის ცხოვრებაში ტრანსფორმაცია

რას ნიშნავს ადამიანის ვირტუალური იდენტობა? რამდენად „გადადის“ ვირტუალურ ქსელში განხორციელებული ქმედებები რეალურ ცხოვრებაში? საერთოდ, რა კავშირი აქვს ვირტუალურ სამყაროს სინამდვილესთან? კვლევის დასაწყისში სწორედ ამ კითხვებზე პასუხების ძიებას შევუდექი.

ბევრი მკვლევრის თანახმად მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოქმნილმა გრანდიოზულმა ძვრებმა მოდერნულობა ჰიპერდინამიკური გახადა და კაცობრიობა პოსტმოდერნის ერაში შევიდა (Jameson, 1991). მორიგმა ეკონომიკურმა რევოლუციამ მსოფლიოს ელექტრონული მედია და კომპიუტერები მოუტანა. შედეგად ყველა სახის კაპიტალი ერთობ მულტინაციონალური გახდა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პოსტმოდერნი უპირველეს ყოვლისა „დროისა და სივრცის შეკუმშვას“ გულისხმობს - მატერიალური მსოფლიოს შემცირებას და დროის აჩქარებას (Harvey, 1989), რაშიც დიდი წვლილი კომპიუტერულ ტექნიკას მიუძღვის. მოდერნულობამ ღმერთი მოკლა, პოსტმოდერნმა კი სელფი გაანადგურა. სტატიკური სელფები აღარ არსებობს - ისინი დინამიკურმა „ფრაგმენტთა გროვამ“ ჩაანაცვლა (Jameson, 1991) და ეს მართებულია ვირტუალური სამყაროსთვისაც. ვინაიდან ყველაფერი მოძრაობს - უცხო საგნები, პიროვნებები, ენები, გზავნილები, სტილები და ჩვევები ერთმანეთში ირევა - პოსტმოდერნში ადამიანებმა ტრადიციული ურთიერთობები დაკარგეს (Linger, 2005) და კომუნიკაციის ახალ - ციფრულ - ეტაპზე გადავიდნენ. ინდივიდები გამუდმებით არჩევნის წინაშე დგანან და უკვე ექსპერტებიც კი გახდნენ იდენტობის პასტიშში[1]. ისინი იდენტობების სუპერმარკეტებში დახეტიალობენ და საკუთარ შესაძლებლობებზე

[1] პოსტმოდერნული ტერმინი, აღნიშნავს პაროდიის ახლებურ ფორმას, დაკავშირებულია სტილებისა და იდეების ურთიერთშეთანხმებასთან, აზრების კომედიურ თამაშთან.

ექსპერიმენტებს ატარებენ. ამგვარ მენტალურ მდგომარეობას ზოგი მკვლევარი „პოსტმოდერნულ შიზო-ფრაგმენტაციასაც“ უწოდებს (Jameson, 1991), რაც ცვალებადი ემოციებით, ანაქრონიზმის ურყევი შეგრძნებით, გამართული თვით-ნარატივების წარმოქმნის გაძნელებითა და კოგნიტური კომპარტმენტალიზაციით[2] ხასიათდება. რისი თქმა შეიძლება ამ მხრივ საქართველოზე? ზუსტად იგივეს, რაც დანარჩენ მსოფლიოზე - ჩვენ ინფორმაციულ ეპოქაში ვცხოვრობთ და ვალდებული ვართ დროს ფეხი ავუწყოთ.

წარმოიდგინეთ, რომ მოხვდით ვირტუალურ სამყაროში და შეხვდით საკუთარ თავს. ეს ფრაზა, სულ მცირე, ორნაირად შეგვიძლია გავიგოთ. პირველ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მართლაც შეხვდეთ საკუთარ ავატარს, რომელიც თქვენს სახელს ატარებს და თქვენი უამრავი ფიზიკური თავისებურება გააჩნია. უნდა დავაზუსტოთ, რომ ამ შემთხვევაში თქვენ მართლა კი არ ხვდებით თქვენს თავს, არამედ ვიღაცას ან რაღაცას, რომელიც თქვენად ასაღებს თავს. პროფესორ თარქლს ჰქონდა მსგავსი გამოცდილება, როცა ერთ-ერთ ვირტუალურ სამყაროში შეხვდა პერსონაჟს, რომელსაც დოქტორი შერი ერქვა (შერი დოქტორი თარქლის სახელია) და მრავალმომხმარებლიანი სამყაროების (MUD) შესახებ ატარებდა ინტერვიუებს (Turkle, 1997). აღმოჩნდა, რომ დოქტორი შერის პერსონაჟი ორი სტუდენტის კომპლექსურ ნარევს წარმოადგენდა, რომლებიც, თავის მხრივ, ონლაინ-იდენტობების საკითხზე მუშაობდნენ. ამ მაგალითში საინტერესო ის გახლავთ, რომ ორი აგენტი ერთ იდენტობას ადგენს, ასეთი რამ კი კიბერსივრცის გარეთ პრაქტიკულად არსად გვხვდება. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ერთი ავატარის (რომელიც თქვენს პიროვნებად ასაღებს თავს) ნაცვლად, შეხვდით ბევრს. თითოეული მათგანი თქვენ გგავთ გარეგნულადაც და ქცევებითაც, მაგრამ ერთი ან სულაც რამდენიმე მომხმარებლის მიერ კონტროლდებიან და მათ სიაში თქვენ არ შედიხართ. მართალია, ნაკლებად ცნობილ პიროვნებებს მსგავსი თავგადასავალი იშვიათად თუ გადახდებათ, მაგრამ მოყვანილი ნიმუში ნათლად აჩვენებს,

[2] კომპიუტერულ სფეროში - დაცული მონაცემების წვრილ იზოლირებულ ბლოკებად დანაწევრება არასანქცირებული წვდომის რისკის მინიმიზაციის მიზნით. ამ ანალოგიით განიხილება ადამიანის ფსიქიკური ფუნქციონირების ერთ-ერთი კოგნიტური თავისებურება.

რომ ონლაინ-სივრცეში „ერთი შეიძლება იყოს ბევრი და ბევრი იყოს ერთი“ (Turkle, 1997). ცალსახაა, რომ ინტერნეტი სხვადასხვა იდენტობის არსებობის სპეციფიკურ შესაძლებლობებს გვთავაზობს, რადგან იძულებული ვართ ავხსნათ როგორ ხდება, რომ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას სხვადასხვა ონლაინ სელფთან ვახდენთ თანაც იმგვარად, რომ „რეალურ ცხოვრებაში“ მყოფი სხეულის შეზღუდვები ხელს არ გვიშლის.

მეორე შემთხვევა, როცა საკუთარ თავს შეიძლება შეხვდეთ ონლაინ-სივრცეში, უფრო პირადულია და სხვა ადამიანებს არ მოიცავს. დავუშვათ, მთავარი გვერდის ანუ ე.წ. ჰოუმფეიჯის[3] შექმნა გევალებათ. ჰოუმფეიჯი ინდივიდის მიერ იქმნება და მის ინტერესებს, ფიქრებს და სხვა საყურადღებო ინფორმაციას ასახავს. ჰოუმფეიჯის მოხმარება სხვადასხვა პირადული ან/და პროფესიული პირობებითაა განსაზღვრული. ჰოუმფეიჯის ძირითადი ნაწილები თემა, შინაარსი, სტრუქტურული ორგანიზება, ტექნიკური მახასიათებლები და იკონოგრაფიის სხვადასხვა რეჟიმებია. საგულისხმოა, რომ არ არსებობს ჰოუმფეიჯის ერთი, უნივერსალური ფორმატი. მაგალითად, იგი შეიძლება იყოს ცალკეული საიტი, ქსელური ჟურნალი ან ვირტუალური სოციალური ქსელების გვერდი. მე ყურადღებას სწორედ ამ უკანასკნელზე შევაჩერებ.

ფეისბუქის მომხმარებლის ჰოუმფეიჯის, ანუ პროფილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი შემქმნელზე საყურადღებო ინფორმაციას ასახავს. დანიელ ჩენდლერის აზრით, ასეთი გვერდი, კლასობრივი და კულტურული კუთვნილებების განურჩევლად, სოციალური და პიროვნული იდენტობის ნებისმიერი დიმენსიის თვითპრეზენტაციის შეუდარებელ შესაძლებლობას ქმნის (Chandler, 1998). პროფილის გვერდის შედგენისას მავანმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს, რის პროეცირებას აპირებს კიბერსივრცეში ანუ დასვას კითხვა „ვინ ვარ მე?“ ამ მხრივ, თქვენ აუცილებლად „შეხვდებით“ საკუთარ თავს, რადგან იძულებული ხართ საკუთარ იდენტობას ჩაეძიოთ და სელფის

[3] *ინგლ.* Homepage - მთავარი გვერდი. აქ: ვირტუალური სოციალური ქსელების მომხმარებლის პირადი გვერდი.

ზუსტად ის ნაწილი ამოარჩიოთ, რომლის პრეზენტაციაც გსურთ ონლაინ-სივრცეში. აღსანიშნავია, რომ შეკითხვა „ვინ ვარ მე“ კიბერსივრცეში, სულ მცირე, ორ მოსაზრებას გულისხმობს და ისინი ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს: „ვინ ვარ მე *სინამდვილეში?“* და „კერძოდ ჩემი სელფის რომელი ნაწილის, გნებავთ სურათ-ხატის პროექცია მსურს?“ ეს უკანასკნელი კითხვა ანგარებიანი მოტივების ან თავის მოტყუების შესაძლებლობებს აჩენს, რადგან მავანს უფლება აქვს მაინცდამაინც გულახდილი პასუხი არ გასცეს.

ამრიგად, იდენტობის საკითხები ვირტუალური სოციალური ქსელებისთვის უცხო ნამდვილად არაა, ვინაიდან ცნობიერების მქონე ნებისმიერი ინდივიდი მსგავს შეკითხვებს რეალურ ცხოვრებაშიც სვამს. თუმცა, კიბერსივრცეში ნაკლები შეზღუდვა არსებობს იმაზე, თუ როგორ გაეცეს ამ კითხვებს პასუხი. მაგალითისთვის ის ადამიანები გამოგვადგება, რომლებიც ფეისბუქ-პროფილზე საწინააღმდეგო სქესს უთითებენ და ფიზიკურ მახასიათებლებს რეალურ ცხოვრებაში არსებულთან შედარებით ბევრად განსხვავებულად წარმოაჩენენ. ასეთი ხალხისთვის კითხვა „ვინ ვარ მე“ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ბადებს, რადგან მათ იმგვარი მახასიათებლების მორგება შეუძლიათ, რომელთა მიღწევაც რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელი იქნებოდა ან სერიოზულ კონფლიქტებს წარმოშობდა. ფეისბუქის პროფილის შექმნისას პიროვნებას თვითცნობიერების ამაღლებისა და საკუთარ თავზე ცოდნის გაღრმავების საშუალება ეძლევა. მაგრამ, იმავდროულად თავის მოტყუების ახალი ფორმების წარმოქმნასაც ვაწყდებით.

მაშასადამე, პიროვნების ვირტუალური იდენტობა სელფის განუყოფელ ნაწილად უნდა მოვიაზროთ. წარმოუდგენლად სწრაფად განვითარებადი ციფრული სამყაროს წყალობით ამგვარი იდენტობის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. მაგრამ რამდენად ასახავს მსგავსი იდენტობა „ნამდვილ“ ცხოვრებას?

1.1 ნიღბის ეფექტი

On the Internet, nobody knows you're a dog[4]

თავდაპირველად განვმარტავ, კონკრეტულად რას ვგულისხმობ ვირტუალურ იდენტობაში, ვინაიდან სხვადასხვა ავტორი თუ დისციპლინა ამ ტერმინს სხვადასხვა დატვირთვას ანიჭებს. ზოგადობის დაურღვევლად, ვირტუალურ იდენტობას, იგივე „ინტერნეტ იდენტობას“ ან „ინტერნეტ პიროვნებას“ (Internet Persona) სოციალური იდენტობის იმ ნაწილად მოიაზრებენ, რომელიც ინტერნეტ საზოგადოებებსა და საიტებზე ინტერაქციისას სხვებთან საკომუნიკაციოდ ყალიბდება. მოცემულ ნაშრომში პიროვნების ვირტუალური იდენტობა ელექტრონულ სივრცეში წარმოდგენილი მე-კონცეფციისა და სელფის ნაწილია.

ხშირად ადამიანის ვირტუალური იდენტობა რეალურ იდენტობას არ ემთხვევა, რადგან ინდივიდის თვისებები თუ თრეიტები წარმოსახულ და ნამდვილ სამყაროებში განსხვავებულია. შესაძლებელია ერთი და იგივე პიროვნება ფეისბუქზე ერთს ამტკიცებდეს, ხოლო ცხოვრებაში საწინააღმდეგოდ იქცეოდეს. მაშ, საჭიროა გამოვარკვიოთ, რა შემთხვევებში აქვთ ტენდენცია ვირტუალურ აქტივობებს, რომ რეალურ ცხოვრებაში განხორციელდნენ და რომელია ის სენსიტიური საკითხები, რომლებსაც ციფრული სამყაროდან რეალურში გადასვლის მეტი იმპულსი გააჩნიათ.

ინტერნეტის მომხმარებელს თავისი ინდივიდუალური, იდიოსინკრეტული იდენტობა უჩნდება, რომელიც სახასიათო თვისებებისა და ინტერაქციების ჯამს წარმოადგენს. დიდი საიდუმლო არაა, რომ თითოეულ საიტთან მომხმარებელს თავისებური ურთიერთობა უყალიბდება და, შესაბამისად, სხვადასხვა საიტს იმის შესახებ, თუ „ვინ ხარ“ და „რას

[4] (*ინგლ.* „ინტერნეტში არავინ იცის, რომ ძაღლი ხარ“) - გამოთქმა უკავშირდება პიტერ შტაინერის 1993 წლის 5 ივლისს „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებულ შარჟს ძაღლზე, რომელიც კომპიუტერთან ზის და კომუნიკაციას ინტერნეტის საშუალებით ამყარებს.

საქმიანობ“ განსხვავებული წარმოდგენები ექმნებათ. ამ განსხვავებულ რეპრეზენტაციებს ხუმრობით „ნახევარ-იდენტობებს“ ვუწოდებ, რადგან ბევრი საიტი თქვენი რეალური იდენტობის შესახებ მთლიან სურათს არ ფლობს. თუმცა, ვითარება სხვაგვარია, როცა საქმე ისეთ მასშტაბურ სოციალურ ქსელს ეხება, როგორიც ფეისბუქია. ეს საიტი შეგვიძლია ამგვარ ნახევარ-იდენტობათა ჯამადაც განვიხილოთ. მაგრამ რამდენად ემთხვევა ფეისბუქ-იდენტობა რეალობას?

კვლევების მიხედვით პასუხი ჯერ-ჯერობით არაერთმნიშვნელოვანია. დანამდვილებით ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეისბუქ-იდენტობა ადამიანის სელფის შემადგენელი ნაწილია და იგი უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩვენს ყოველდღიურობაში. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება არ დაემთხვეს ვირტუალური იდენტობა რეალურს, ე.წ. „შენიღბული“ იდენტობებია. ვიშნიევსკისა და კოინის თანახმად (Wiszniewski and Coyne, 2002), სოციალურ სფეროში ინტერაქციისას ინდივიდი საკუთარი იდენტობის ნიღაბს წარმოადგენს. ავტორთა აზრით, ამგვარი მოსაზრება ონლაინ-სივრცეშიც მართებულია; მეტიც, ციფრულ სამყაროში ეს უფრო აშკარადაც ჩანს იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც საკუთარი ვირტუალური პროფილის შექმნისას ონლაინ კონტრიბუტორმა უნდა მიიღოს (ასაკი, სქესი, მისამართი და ა.შ.). დროთა განმავლობაში, რაც მეტ პოსტს აქვეყნებს მომხმარებელი, მით მეტი ინფორმაცია გროვდება მისი წერის სტილის, ლექსიკონისა და ინტერესის საგნების გარშემო, ეს ყოველივე კი საბოლოოდ მის ნიღაბს „ემატება“.

ადამიანის მიერ მორგებული ნიღაბი ამ ნიღბის უკან მდგომი სუბიექტის შესახებ რაღაცას უსათუოდ ამჟღავნებს. ამას შესაძლოა ნიღბის „მეტაფორაც“ ეწოდოს. ონლაინ-ნიღაბი პიროვნების რეალურ იდენტობას არ გამოხატავს. თუმცა, ხშირად ამ „ნამდვილ“ იდენტობაზე შორს მიდის და იმაზე მიუთითებს, რაც რეალურად ამ ნიღბის უკან იმალება. მაგალითად, თუ ადამიანი ფეისბუქზე როკ-ვარსკვლავივით იქცევა, ეს მეტაფორა როკ-მუსიკით გატაცებაზე მეტყველებს; ხოლო თუ მავანი რელიგიურ პოსტებსა და მოწოდებებს ეხმაურება, ეს მისი ამგვარი თემით დაინტერესების მანიშნებელია რეალურ ცხოვრებაშიც. თუ ვიშნიევსკისა და

კოინს დავუჯერებთ, მაშინაც კი, როცა პიროვნება აბსოლუტურად ცრუ იდენტობის უკან იმალება, ესეც კი რაღაცაზე მიუთითებს: იგი შესაძლოა სოციალიზაციის შიშითა და თავდაჯერებულობის ნაკლებობით იტანჯებოდეს (Wiszniewski and Coyne, 2002).

ხშირად ფეისბუქ-იდენტობა პიროვნების საუკეთესო „ვერსიას“ წარმოადგენს, ანუ იმას, რაც შეეძლო გამხდარიყო და რიგი მიზეზების გამო ვერ გახდა. მსგავსი რეპრეზენტაციები სურათებით, ფეისბუქის მეგობრებთან კომუნიკაციითა და სხვადასხვა ჯგუფებში გაწევრიანებით იქმნება. კონფიდენციალურობის კონტროლი, რის საშუალებასაც ფეისბუქი უმცირესი დეტალების გათვალისწინებით გვაძლევს, ვირტუალური სოციალური იდენტობის ნაწილად უნდა მოვიაზროთ.

ვირტუალური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება რეალური იდენტობისგან ის გახლავთ, რომ პირველ შემთხვევაში ადამიანები გაცილებით უშიშრად გამოხატავენ საკუთარ პოზიციებს, ამჟღავნებენ პიროვნულ თრეიტებს, თამამ ქცევებს და რეალური იდენტობის ისეთ კომპონენტებს, რომლის გამხელასაც ცხოვრებაში ვერ ახერხებდნენ. ამგვარი თავისუფლება მთელი სოციუმისთვის ახალ შესაძლებლობებს ბადებს; ეს ხელსაყრელია ისეთი მკვლევრებისთვისაც, ვინც გენდერული როლებით, სექსუალური უმცირესობებით, რელიგიური იდენტობებითა და სხვა სენსიტიური საკითხებითაა დაინტერესებული, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ „ნიღბის ეფექტის“ დამსახურებით, ვირტუალურ ნიღბებს ამოფარებულმა რესპონდენტებმა დაცულობის შეგრძნების გამო მეტი გულახდილობით უპასუხონ შეკითხვებს, რაც კვლევების სიზუსტესა და სიღრმეზე აისახება.

1.2 ვირტუალური ემოციის ავთენტურობა

მცირე სიწრფელე სახიფათო რამეა, დიდი დოზით მომაკვდინებელი.

ოსკარ უაილდი

ქვემოთ დავინახავთ, რომ ნიღბის ეფექტს ფეისბუქში მხოლოდ მაშინ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, როცა პირი ანონიმურობას ინარჩუნებს. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ჩემი ვირტუალური ასლი - ზურა ჩაჩუას ფეისბუქ-ავატარი - ისეთივე ინფორმაციის მატარებელია, როგორიც რეალურ ცხოვრებაში? ხშირ შემთხვევაში კი უფრო მეტი ინფორმაციისაც, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ფეისბუქზე ხომ საკუთარი თავის საუკეთესო „ვერსიას“ ვქმნით. რამდენად ავთენტურია ვირტუალურად გამოხატული ემოციები რეალობასთან მიმართებაში? როდესაც მსგავსი კითხვებით რესპონდენტებს მივმართავდი, სუბიექტური მოლოდინი მქონდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ვირტუალური ემოციები სრულად ვერ გამოხატავდნენ თავის რაობას და მხოლოდ მიმსგავსებული, გაკვრითი შეხება უნდა ჰქონოდათ რეალურ გრძნობებთან. თუმცა, რიგ შემთხვევებში განსხავებული შედეგები მივიღე.

ამას თავისი ახსნა აქვს. ბევრი ბოლოდროინდელი მკვლევარი ვარაუდობს, რომ სოციალურ მედიას (სხვა ელექტრონული კომუნიკაციისგან განსხვავებით), განსაკუთრებით კი ფეისბუქს, უნიკალური რესურსები გააჩნია და გარკვეულ სიტუაციებში ეს კომუნიკაციის პროცესზე დადებითად აისახება (Boyd, 2010; Treem & Leonardi, 2012). მაგალითად, „დამეგობრების“ ფუნქცია ფეისბუქზე მომხმარებლის იდენტობის დამადასტურებელ კრიტერიუმად გამოდგება, ხოლო ძირითადი შინაარსების თანმიმდევრულობა ინტერაქციების არქივს ქმნის; ჩვენ ყოველთვის გვექნება ამ არქივის მომავალში გახსნისა და საკუთარ თავში ჩაძიების საშუალება. ფეისბუქის მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა კომუნიკაციის ფუნქციებს (მათ შორის „მოწონებას“, სხვების პოსტებზე კომენტირებას, ახალი ამბების განახლებებს,

პრივატულ მიმოწერას) სხვა მომხმარებლებთან საურთიერთოდ აქტიურად იყენებს (Rainie, Purcell, & Smith, 2011). ასე რომ, ფეისბუქში გამოხატულ ემოციებს სრული არსებობის უფლება აქვს და ხშირ შემთხვევაში ისინი რეალობასთანაა შესაბამისობაში.

დადგინდა, რომ ინტერნეტში განხორციელებული აქტივობები - მაგალითად, სტატუსის მოწონება ან ფოტოზე კომენტარის გაკეთება - ხშირად ურთიერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ემსახურება, იქმნება კავშირის უნიკალური, სპეციფიკური მდგომარეობა, რაც, ჩემი აზრით, ბოლო დრომდე ადამიანისთვის უცხო ხილი გახლდათ. ფეისბუქს როგორც ურთიერთობების დასუსტება, ასევე პირიქით, მათი გაძლიერებაც შეუძლია. ზოგიერთ, ალბათ, ტრაგიკულ შემთხვევებში, ფეისბუქი შეიძლება კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებადაც კი იქცეს. ისეთი ადამიანებისთვის, ვინც რეალურ ცხოვრებაში ჩაკეტილი და არაკომუნიკაბელური პიროვნებაა და რადიკალურად საპირისპიროა ფეისბუქში, ერთმა რესპონდენტმა ახალი ტერმინიც კი შეუსაბამა: *ფეისბუქ-იდენტობის დისოციაციური აშლილობა* (Dissociative Facebook Identity Disorder). დასძინა, რომ ამ ტერმინს ერთ-ერთ ფეისბუქ გვერდზე წააწყდა და მასში ვირტუალურ სამყაროსა და სინამდვილეს შორის გაორებული ადამიანი იგულისხმება.

ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ვირტუალური სოციალური ქსელების უზომოდ გამოყენება ანტისოციალური ქცევისა და გაზრდილი ნარცისიზმის საფრთხეებს შეიცავს (Carpenter, 2012). თუმცა, სხვები საკითხს ასე რადიკალურად არ უყურებენ. მეტიც, ეს მათ ადამიანის ევოლუციის ლოგიკურ გაგრძელებადაც კი მიაჩნიათ. ევოლუციური ფსიქოლოგის რობინ დანბარის აზრით (Dunbar 2011, 2012), ადამიანის ურთიერთობებში ჩაბმის კოგნიტური შესაძლებლობა ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით ლიმიტირებულია, მაგრამ მათ სამომავლოდ განუსაზღვრელი პოტენციალი გააჩნიათ და ეს მხოლოდ დასაწყისია. ტრადიციულად ვიცოდით, რომ ურთიერთობის დამყარებას სჭირდება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ქცევები (Duck, 1986). მაგალითად, ჩახუტებას შეუძლია გაცილებით დიდი

როლი შეასრულოს, ვიდრე ტელეფონით დარეკვას. მაგრამ, შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს, ანუ ეს ყოველთვის კონტექსტურია.

1.3 სენსიტიური თემები

ცნობილია, რომ ნებისმიერი აქტივობის განსახორციელებლად საჭიროა სტიმული, რასაც შესაბამისი რეაქცია მოჰყვება. თუმცა, ზოგჯერ სხვადასხვა ადამიანზე მოქმედი ერთი და იგივე სტიმული სხვადასხვაგვარ რეაქციებს იწვევს, ამიტომ შუალედური ჰიპოთეტური ცვლადის შემოღების საჭიროება გაჩნდა. მას დისციპლინები განსხვავებულ სახელებს არქმევენ. ჩვენი ამაგდარი მეცნიერი - დიმიტრი უზნაძე - მას განწყობას უწოდებს. კიბერნეტიკაში ასეთ ცვლადს „შავ ყუთადაც“ მოიხსენიებენ. თუ უზნაძის განწყობის თეორიიდან ამოვალთ, ნებისმიერი აქტივობისთვის მინიმუმ ორი ძირთადი პირობა მაინც უნდა არსებობდეს: მოთხოვნილება (სუბიექტური ფაქტორი) და სიტუაცია (ობიექტური ფაქტორი): „ესაა, უპირველეს ყოვლისა, ფაქტი ქცევის სუბიექტში რაიმე მოთხოვნილების არსებობისა და შემდეგ - სიტუაციისაც, რომელშიც ეს მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს. ესაა ყოველი ქცევის და, მაშასადამე, მისადმი განწყობის აღმოცენების ძირითადი პირობა“ [უზნაძე დ. 1977, „განწყობის ფსიქოლოგია“, გვ. 57]. რომელი საკითხები აჩენენ ვირტუალურ სამყაროში საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვის ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას? რომელი განწყობები არიან ყველაზე მეტი კონატიური ანუ ქცევითი მუხტის მატარებელი? ასეთ განწყობებს კომპიუტერის წინ მჯდომი ადამიანი, ვისი წინაპირობაც თითქოს „ვირტუალურია“, შეუძლიათ სულ მოკლე დროში ბარიკადებზე აიყვანოს.

ზემოხსენებული განწყობების უკეთ დემონსტრაციისთვის წარმოგიდგენთ ქართულ ფეისბუქ-სივრცეში ყველაზე ხშირად გაზიარებული პოსტების სტატისტიკას, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან გამოვითხოვე. ცხრილში მოცემულია 2014 წლის ანგარიში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფეისბუქის გვერდის ყველაზე მეტჯერ ნანახი, მოწონებული და გაზიარებული ინფორმაცია (ნახ. 1):

განთავსებული ინფორმაცია	თარიღი	წვდომა (Reach)	მოწონება (Likes)	გაზიარება (Shares)	მეგობრების მეგობრების მოწონება	მეგობრების მეგობრების გაზიარება
1. საქართველოს ეროვნული მუზეუმი გილოცავთ ანჩისხატის დღესასწაულს! (ფოტო - ანჩისხატი)	29.08.2014	110,528	1,070	921	6,791	13
2. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის სამკაულები. (ფოტო, XVIII საუკუნე. დიადემა, სამაჯურები, საყურეები, საკიდი. ოქრო, მინანქარი, ფირუზი)	3.05.2014	120,512	3,313	1,499	4,046	0
3. ღვთისმშობლის კარედი ხატი, X-XII საუკუნეები (ფოტო)	19.07.2014	102,080	710	802	5,606	0
4. საქართველოს ეროვნული მუზეუმი გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს! (ფოტო, ლორფინი X-XI სს., საღოლაშენის)	18.01.2014	70,816	550	459	3,382	23
5. საქართველოს ეროვნული მუზეუმი გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს! (ფოტო)	07.01.2014	75,936	666	468	4,507	19
6. ლაბსყალდის ოთხთავი, იოანე მახარებელი და პოხორე. (ფოტო)	5.05.2014	73,632	578	557	4,319	3
7. ქართული დამწერლობა მსოფლიოს ხუთ ულამაზეს დამწერლობათა შორის დასახელდა! (ინტ. სიახლე)	18.09.2014	199,872	2,034	1,527	2,669	207
8. გულსაკიდი კარედი ვედრების გამოსახულებით. მარტვილი, VIII – IX საუკუნეები (ფოტო)	26.02.2014	77,888	414	437	3,873	11
9. საქართველოს ეროვნული მუზეუმი გილოცავთ ბზობას! (ფოტო)	13.04.2014	64,544	468	468	3,576	43

10. საქართველოს ეროვნული მუზეუმი გილოცავთ ქართული ენის დღეს! (ფოტო, მესტიის ოთხთავი, მინიატურა. 1033 წელი. ეტრატი)	14.04.2014	55,360	422	348	3,113	14

როგორც ხედავთ, პოსტების სრული უმრავლესობა რელიგიური, დანარჩენი კი ეთნიკური ხასიათისაა. ვფიქრობ, მოყვანილი სტატისტიკიდან ზოგადი ტენდენციები შესანიშნავად იკვეთება, თუმცა, ამ საკითხზე უფრო ვრცლად ნაშრომის ემპირიულ ნაწილში ვისაუბრებ.

მაშასადამე, რომ შევაჯამოთ, ისეთი სენსიტიური თემა, როგორიც რელიგიაა ვირტუალური სივრციდან რეალურ ქმედებაში სულ იოლად გადადის. ამის დასტურად საკმარისია 2013 წლის 17 მაისი გავიხსენოთ, როცა ჰომოფობიური ინტენციების მქონე დაახლოებით ასი ათასამდე კონტრდემონსტრანტი ძალიან მარტივად და მოკლე დროში შეიკრიბა. ხოლო გამწვანების მოუხეშავი განადგურების (რომელიც ბოლო წლებია ასე აქტიურად მიმდინარეობს ურბანული სამყაროს სასარგებლოდ) საწინააღმდეგო პროტესტი ან კაზრეთელი მუშების მხარდასაჭერად დაგეგმილი აქციები ვირტუალურ სივრცეს იშვიათად სცდება და თუ სცდება, ღონისძიებებზე გაცილებით ნაკლები ადამიანი იკრიბება, ვიდრე ფეისბუქში ეხმიანება.

თავი II

ფეისბუქის გავლენა ქართულ მართლმადიდებლობაზე

გლობალიზაციის ეპოქაში, როცა პლანეტა „პატარავდება“ და ყველაფერი ხელმისაწვდომი ხდება, შეუძლია კი კაცობრიობას, როგორც სახეობას, ტრადიციული რელიგიური იდენტობებით გადარჩეს? იქნებ ასეთ დაპირისპირებამდეც მივიდეთ - შენი ღმერთი ჩემი ღმერთის, შენი წმინდა წიგნი ჩემი წმინდა წიგნის, შენი წმინდა ადგილები ჩემი წმინდა ადგილების, თაყვანისცემის შენეული პრაქტიკები ჩემეული ხედვების წინააღმდეგ. შესაძლებელია ასეთი წინააღმდეგობების ინტერრელიგიური და ეკუმენური დიალოგის გზით მოგვარება? თუ ფოკუს ჯგუფში მონაწილის ერთ მოსაზრებას გავიზიარებთ, იქნებ მართლაც საჭიროა ჩვენი რელიგიურ-კულტურული მითების სრული დეკონსტრუქცია და რელიგიური იდენტობის ნიღბების მოხსნა, რადგან ჩვენს სამოქალაქო თუ ადამიანური უფლებების სადარაჯოზე სეკულარული წესრიგი დადგეს.

შერი თარქლის აზრით, ტექნოლოგიური მედიუმით გამართულმა კომუნიკაციამ შეცვალა წარმოდგენა „ჩვენს ძირეულ იდენტობებზე“ (Turkle, 1997). ვინაიდან თარქლს სხვადასხვა დისციპლინებთან უხდება შეხება, იგი იდენტობის მკაფიოდ განსაზღვრას ერიდება. თუმცა, მისი ნაშრომიდან ორი რამის გამოყოფა ცალსახად შეიძლება: პირველი ის გახლავთ, რომ ავტორი სელფს ფრაგმენტულად განიხილავს და არაავტონომიურ ნიშან-თვისებებს ანიჭებს; მეორე პოზიცია კი ონლაინ-იდენტობის (დედანში „კიბერ-იდენტობის“) იმ ღირებულებებს ეხება, რომელიც ჩვენს გაზრდილ ინფორმირებულობას უზრუნველყოფს. ფრაგმენტული სელფი კიბერ-სივრცეში შესანიშნავად ჩანს: აქ ადამიანს რადიკალურად განსხვავებული იდენტობების მორგება ერთდროულად შეუძლია, თანაც ისეთების, რომელთაც რეალურ სელფთან პირდაპირი შეხება თითქოს არ უნდა გააჩნდეთ. თარქლისთვის სელფის შესახებ

თვითცნობიერება იმ ახალ გამოცდილებებთან ერთად იზრდება, რომელიც სხვადასხვა ონლაინ-იდენტობას ახლავს თან; ამ დროს ჩვენი რეალური სელფი უჩინარია. მაშასადამე, სელფის ამგვარი წიაღსვლების ღირებულება იმ გაგებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოვიპოვებთ ამ ცოდნას. ზემოხსენებული ორი პოზიცია თარქლის ონლაინ-იდენტობის ფუნდამენტს შეადგენს; პირველი მათგანი ონლაინ-იდენტობის ფენომენის ზოგად გაგებაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე ამ ფენომენის მნიშვნელობაზე სვამს აქცენტებს.

2.1 ციფრული რელიგია

ვაზიარებ, მაშასადამე ვარსებობ

რელიგია ხშირად ესმით, როგორც გარკვეულ მოსაზრებათა წყება. ასეთი მოსაზრებებია, მაგალითად, დაშვებული უნდა იყოს თუ არა კონტრაცეფცია ან უნდა გამოიყენონ თუ არა მღვდლებმა ტაბურეტი თავდასაცავად ან თავდასასხმელად. ფილოსოფოსი ბორის გროისის აზრით, რელიგია - ნებისმიერი რელიგია - უპირველეს ყოვლისა, რიტუალების წყებაა და რელიგიური რიტუალი სწორედაც რომ მოსაზრებათა ნაკლებობის, მათი არარსებობის მდგომარეობას ქმნის (გროისი ბ., 2014).

იმის გასაგებად, თუ რატომაა უნიკალური „ციფრული რელიგიის“ კონცეფცია, თავდაპირველად უნდა გამოვარკვიოთ თუ როგორ უკავშირდება იგი უწინ არსებულ ტერმინოლოგიას, რომელიც რელიგიის ინტერნეტში ჩართულობას შეეხებოდა. 1990-იანებში „კიბერ-რელიგია“ რელიგიის კიბერსივრცეში, ანუ ტექნოლოგიების შექმნილ ვირტუალურ რეალობაში გადასვლას დაუკავშირდა. საწყის ეტაპზე ამგვარმა მეტაფორულმა სტრუქტურამ რელიგიის მითიური უტოპიური და დისტოპიური გამოხატულებები გამოიწვია, სადაც რელიგიური პრაქტიკების ტრადიციული მარწუხებისგან გათავისუფლება გახდა

შესაძლებელი. მანამდე სრულიად უცნობი, კომპიუტერული ეკრანის მიერ შთაგონებული ფენომენი იბადებოდა. ტერმინი „კიბერ-რელიგია“ ზოგიერთი მკვლევრის მხრიდან რელიგიური კომუნისა და რიტუალის ახლებური გააზრებისთვის გამოიყენებოდა. იგი კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და რელიგიის ახალ ალიანსს აღნიშნავდა, სადაც ხალხი თავისი სპირიტუალური ცხოვრების კიბერსივრცეში გადატანას ცდილობდა (Bauwens, 1996). შემდეგი ათწლეულის მანძილზე მეცნიერები „კიბერ-რელიგიას“ სხვადასხვა კონტექსტში იყენებდნენ. დოუსონი მას „მხოლოდ კიბერსივრცეში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ან ჯგუფების“ საიდენტიფიკაციოდ იყენებდა (Dawson, 2000; გვ. 29). ბრაშერი თავის ნაშრომში „მომეცით ეგ ონლაინ რელიგია“ (Brasher, 2001) კიბერ-რელიგიას უფრო ფართო კონცეფციად სახავს, რომელშიც შესაძლოა „რელიგიური ორგანიზაციებისა და რელიგიური აქტივობების კიბერსივრცეში არსებობა“ (გვ. 9) იგულისხმებოდეს ან „ახალი, ელექტრონულად შთაგონებული რელიგიური პრაქტიკებისა და იდეების თანმიმდევრულ აღმოცენებას“ ასახიერებდეს (გვ. 30). ეს ტერმინი პოსტმოდერნული კიბერკულტურის ძირითად შინაარსს გადმოსცემს და ტრადიციული რელიგიური ინსტიტუტების სოლიდურ ოპოზიციას წარმოადგენს. ამრიგად, კიბერ-რელიგიის კონცეფციამ ტრადიციული დაშვებების ეჭვქვეშ დაყენებასა და მათ უფრო სიღრმისეულ შესწავლას დაუდო საფუძველი. თუმცა, ტერმინი მეტად ამორფული და ფართო გამოდგა, რამაც მისი რელიგიურობის ყალბი ან/და არასრული ფორმების მიმართ ეჭვები გააღვივა.

ონლაინ რელიგიებზე სასაუბროდ ჰელანდმა განსხვავებული კონცეპტუალური ჩარჩო შემოგვთავაზა (Helland, 2000). მან ერთმანეთისგან გამოყო რელიგია, რომელიც ინფორმაციისაა და ტრადიციული რიტუალების ინტერნეტში გადატანას ცდილობს, ონლაინ-რელიგიისგან, რომელშიც ვირტუალური რელიგიური აქტივობა იგულისხმება. ონლაინ-რელიგია საკუთარ წევრებს რიტუალების ხელახალი ფორმირებისკენ აქეზებს და ლეგიტიმაციის ტრადიციული სისტემების გვერდის ავლას ცდილობს, ეს კი დროითი, სივრცითი თუ გეოგრაფიული ლიმიტების გარღვევის ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

ონლაინ-რელიგიის კონცეფცია აჩვენებს, რომ ინტერნეტი თავისი მოხერხებული და მოქნილი ბუნების მეშვეობით რელიგიურობის ახალი ფორმების აღმოცენებასა და რელიგიური პრაქტიკების ონლაინ-სივრცეში განხორციელების საშუალებას იძლევა. აღნიშნული პროცესი შეგვიძლია თანამედროვე სოციუმის სპირიტუალისტურ ევოლუციადაც დავინახოთ. ჰელანდის ღვაწლს ტყუილად არ ჩაუვლია, მის კონცეფციას ბევრი თანამედროვე კვლევა ეფუძნება. ინტერნეტზე დაფუძნებული რელიგიურობის თავისებურებათა უფრო კონკრეტული დეტალების გამოაშკარავების საშუალება გაჩნდა (Kawabata and Tamura, 2007). მოგვიანებით იმგვარმა კვლევებმაც იჩინა თავი, სადაც განხილულია თუ რომელი ტრადიციული პრაქტიკები გადადის და მეორდება ვირტუალურ სივრცეში (Howard, 2010). ჰელანდს თუ დავესესხებით, ონლაინ და ოფლაინ (ანუ ტრადიციულ) რელიგიებს შორის საზღვრები უფრო და უფრო მკრთალი და ბუნდოვანი ხდება (Helland, 2007).

ბოლო რამდენიმე წელია ინტერნეტ სივრცეში რელიგიური პრაქტიკების გამოსახატად ახალი ტერმინი - ციფრული რელიგია გამოჩნდა. იგი უკვე სხვადასხვა კონფერენციის სათაურადაც გამოიყენეს (მაგალითად საერთაშორისო კონფერენცია ციფრული რელიგიის შესახებ, რომელიც კოლორადოს ბოულდერის უნივერსიტეტში ჩატარდა 2012 წლის იანვარში). ტერმინოლოგიის განვითარებას თუ გადავხედავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი მედიისა და რელიგიის შესწავლა უბრალო „რელიგიის გაციფრულებიდან“ (რაშიც იგულისხმება თუ როგორ აიძულებს ციფრული მედია რელიგიურ ჯგუფებს რელიგიური ტრადიციების, ავტორიტეტების ან აუთენტურობის ცვალებად ცნებებთან მორგებას, გნებავთ ადაპტაციას) როგორ გადავიდა უფრო სიღრმისეულ კვლევებზე, სადაც სიტყვა „ციფრულიც“ ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც „რელიგიურობა“. სხვა სიტყვებით, ციფრული რელიგია წარმოადგენს რელიგიას, რომელიც თვისობრივად ახალი გზებითაა შედგენილი ციფრული მედიისა და კულტურის მიერ. ამ ყველაფერს რელიგიის ახალ გაგებამდე მივყავართ, რომლის ფესვებიც ციფრული ტექნოლოგიებით გასაშუალებულ მნიშვნელობებში უნდა

ვეძებოთ. მაშასადამე, ციფრული რელიგია ტექნოლოგიურ და კულტურულ სივრცეს მოიცავს, სადაც ონლაინ და ოფლაინ რელიგიური სფეროები ერთმანეთში ირევა. იგი ერთგვარი ხიდია, რომელიც ონლაინ რელიგიურ პრაქტიკებს რეალური ცხოვრების კონტექსტებთან აკავშირებს და პირიქით.

2.2 ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ მართლმადიდებელი

ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას -

მერაბ მამარდაშვილი

1989 წელს ჩატარებულ სახალხო ფრონტის დამფუძნებელ ყრილობაზე მამარდაშვილმა წარმოთქვა ფრაზა, რომელიც, სამწუხაროდ, ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში მისი ცხოვრების ყველაზე ცნობილ ეპიზოდად აღიბეჭდა. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა ეს სიტყვები პრაქტიკულად სამშობლოს ღალატად შეაფასეს. ვფიქრობ, მაშინდელი პოლიტიკური კონტექსტის დამსახურებით ფილოსოფოსს არასწორად გაუგეს. იგი გარეგნული რიტუალიზმით შეპყრობილ საზოგადოებას ჭეშმარიტების სწორედ ქრისტიანულ გაგებაზე ესაუბრებოდა, რომელიც გულისხმობს, რომ ჭეშმარიტება ერთადერთია და არ არსებობს მისი ქართული, რუსული, ინგლისური ან სხვა ვარიანტები. ანუ მართლმადიდებლობა კატეგორიულად გამორიცხავს ეროვნულობის იდეის ჭეშმარიტებაზე მაღლა დაყენებას. თუმცა, მოგეხსენებათ, პრაქტიკაში ყველაფერი განსხვავებულად ხდება. ჩვენთან ყველაფერი ისე წარიმართა, რომ ხშირ შემთხვევაში რწმენა და ეთნიკურობა, ანუ მართლმადიდებლობა და ქართველობა ერთმანეთთანაა გაიგივებული. ეს ზემოთ მოყვანილ ცხრილშიც კარგად ჩანს (იხ. ნახ.1).

ვიცით, რომ ეთნიკურობა და ეროვნულობა არაა უნივერსალისტური ღირებულებები. ისინი უნივერსალურის კერძო, ლოკალური სახესხვაობებია და იმდენადაა ფასეული, რამდენადაც

ლოკალურობის საზღვრებს ცდება. ეს პრინციპი ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია. ამ რელიგიაში ჭეშმარიტება ვიწრო ეთნიკურ, ნაციონალურ, კლასობრივ თუ სქესობრივ საზღვრებზე მაღლაა - „აქ არავინაა არც ებრაელი და არც ბერძენი, არც მონა, არც თავისუფალი, არც მამაკაცი, არც ქალი, რადგანაც თქვენ ხართ სამუდამოდ ერთნი იესო ქრისტეში“ (გალატელთა მიმართ, 3;26) (მაისურაძე გ., „პატრიოტიზმი - ‘ჭეშმარიტება’, რომელიც ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას“, გვ. 21-24). მაგრამ დღეს ეროვნულობასა და რელიგიურობას შორის არსებული ზღვარი ძალიან ბუნდოვანია, რაც ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის ნათქვამიდანაც ნათლად ჩანს: „ქრისტიანობა ჩვენთვის იყო ქართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი“ (ლ. ბ. 33 წლის). ქრისტიანობის ამ ძირითად პრინციპს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები ხშირად უგულებელყოფენ და ამის აფიშირებას ვირტუალურ სოციალურ ქსელებშიც არ ერიდებიან.

შესაბამისად, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველ სასულიერო პირთა ფუნქცია მხოლოდ კულტურული იდენტობით არ შემოიფარგლება. ხშირად მათი მთავარი გზავნილი იმ რწმენის განმტკიცებაა, რომ მრევლის თითოეული წევრის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) ფუნქცია სამშობლოს სამსახური და მისთვის თავგაწირვის ვალდებულებაა. მოქმედი ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენლები ამ ფარსს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ და ერთმანეთს „მართლმორწმუნეობაში“ ეჯიბრებიან.

ლეგიტიმურია მოსაზრება, რომ ფეისბუქისა და ინტერნეტიდან მიღებული უხვი ინფორმაციის წყალობით ტრადიციული რელიგიური ბერკეტების ვირტუალიზაცია მოხდა. მოძღვრის ფეისბუქში აქტივობას დღეს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც უწინ წირვას ჰქონდა. ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ სასულიერო პირის პასიურობას ვირტუალურ სივრცეში შეშფოთების მიზეზი გამხდარა. ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ მღვდელ-მონაზონი ილია ვაშაკიძის მიერ თავის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული სტატუსი, რომელშიც საპატრიარქოში არსებული პრობლემებით ინტერესდება და კოლეგებს არცთუ კორექტულად ეხმიანება: „...ქრისტეს მიერ საყვარელო ძმებო და დებო, დღეს, შეიძლება

ითქვას როგორც არასდროს, დიდ სულიერ და მატერიალურ გასაჭირშია ქართველი ერი, ბეწვზე კიდია ჩვენი სულიერება და სახელმწიფოებრიობა.. სად წავიდა მეუფე იაკობი (იაკობაშვილი)?? სად წავიდა პიტალო კახა (გვარი იგივეა)?? სად წავიდა მეუფე იობი (აქიაშვილი)?? საპატრიარქო უმოქმედოა.. საპატრიარქო უმოქმედოა.. უარეს დღეშია პარლამენტი.. ხელისუფლება ქუჩაში გდია.. ნებისმიერი გამვლელი გაივლის და აიღებს (გამოჩნდება ვინმე ყვარყვარე თუთაბერი).. არ გვაქვს სტრუქტურულად მოწესრიგებული, სისტემაში მოყვანილი ეკლესიოლოგია, წმიდა სინოდი და საეკლესიო სასამართლო და პარალელურად ჩვენი პატრიარქის ბიოლოგიურ სიბერეს მავანნი ბოროტად იყენებენ.. მე არ ვაპირებ საბჭოთა კავშირში დაბრუნებას (ამას წინასწარ ვაცხადებ).. საბჭოთა კავშირში ქორეპისკოპოსი იაკობი და პიტალო კახა შეგიძღვეთ.. ერთი ნორმალური დეფექტოლოგი-ლოგოპედი მაინც ვერ ნახეთ პაატა ზაქარეიშვილის საუბრის ან ფონეტიკა ან არსი რომ გავიგოთ?? დიდი ილიასი არ იყოს: "რა გითხრათ, რით გაგახაროთ".. დიდი მგოსნის სიტყვებსაც მოვიშველიებდი: "ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო".. მე კი ჩემი მხრიდან დავამატებდი: "აბა დელი ოდელია, საქართველო ბორდელია".. ეხლა კი სადაც გინდათ იქ მიჩივლეთ.. ღმერთმა გიშველოთ..“

ასეთი პათეტიკითა და მოწოდებებით გაჟღენთილი პოსტი ქართულ ფეისბუქ-სივრცეში უამრავია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოებამ მოძღვრისგან ვირტუალურად მიღებულ რჩევა-დარიგებასა და პირისპირ საუბარს შორის განსხვავების შეგრძნება დაკარგა. დღესდღეობით სოციალური ქსელის ამ მხრივ გამოყენება იმდენად გამჯდარია საზოგადოებაში, რომ რეალურსა და ვირტუალურ სამყაროებს შორის ზღვარი უფრო და უფრო შეუმჩნეველი ხდება და იგი ფაქტობრივად გაქრობის პირასაა მისული.

2.3 რიტუალიზმი ფეისბუქში

დასავლეთში უკვე აღიარებენ, რომ ფეისბუქისა და პირადი ცხოვრების ერთმანეთისგან გამოცალკევება ძალიან რთული გახდა. ბოლო ოციოდე წელია მსოფლიო ინტერნეტ ქსელის არნახული სისწრაფით განვითარების მოწმენი ვართ. ხშირ შემთხვევაში სოციალური ქსელი ადამიანთა პირად ცხოვრებას ზედმეტად სკრუპულოზურად ასახავს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ფეისბუქი ადამიანს აშიშვლებს და დაუცველობის გრძნობას უჩენს - ამ დროს მეტისმეტად ხელმისაწვდომი ხარ და შენი გაკონტროლებაც შედარებით იოლია. მარტივია გაგება თუ ვინ არიან შენი მეგობრები, თავისუფალ დროს როგორ ატარებ, სად მუშაობ, რა გიყვარს ან რა არ გიყვარს. ასეთი სენსიტიური ინფორმაციის შენს სამართავად გამოყენება ძალიან მოსახერხებელია. მეტიც, ბევრს ეს ახლო მომავალში გარდაუვალ აუცილებლობადაც ესახება (Lehtinen, 2013) - მით უმეტეს, რომ ამის ნიშნები დღესდღეობით უკვე გვაქვს.

რელიგიური რიტუალის ჩატარების ერთადერთი მიზანია მაგიური საშუალებებით, შელოცვებით, გრძნეული სიტყვებით, მსხვერპლშეწირვით, მედიტაციით, თვითგვემით და ა.შ. მისტიური გამოიხატოს. მაგრამ ყოველ ასეთ მოქმედებას ყოველთვის ფიზიკური, ღვთაებრივი მიზეზისადმი რწმენა უსწრებს. მაგალითად, კათოლიკურ ეკლესიაში საიდუმლოსთან ზიარების მიზანი ისაა, რომ ღვთის წყალობა მოეფინოთ. რადგან ხსენებული აქტი ღვთაებრივ წყალობასთან იძულებით ზიარებად შეგვიძლია გავიგოთ, რომელიც მაგიური საშუალებებით ხორციელდება, ლოგიკურია, როცა ეკლესია შემდეგ არგუმენტს იშველიებს: არავის შეუძლია საიდუმლო აქტში ღვთის წყალობა იძულებით მოჰფინოს! ის მასშია, რადგან საიდუმლო ღვთიურია და უფლის ნება რომ არა, არც საიდუმლო აქტი იარსებებდა (იუნგი კ., „ფსიქოლოგია და რელიგია“, 2013).

რელიგია ხშირად იყენებს გამეორების ენას. ეს არ გახლავთ იმის დამსახურება, რომ მისი სუბიექტები ისეთი ჭეშმარიტების ფლობაზე აცხადებენ პრეტენზიას, რომელსაც მუდამ გამტკიცება და გავრცელება ჭირდება. აქ ენა რიტუალშია განსხეულებული. რიტუალი კი იმგვარი ჭეშმარიტების გაცხადების ხელახლა შექმნაა, რომელსაც სხვას ვერ გადასცემ.

რელიგიური რიტუალის გამეორება თითქოს ასეთ გადმოუცემელ ჭეშმარიტებას თავიდან შობს. მართლმადიდებლური დისკურსი ღმერთს იმ ხერხებით ადიდებს, რომლებზეც მიიჩნევა, რომ ღმერთისთვის სასიამოვნოა. მეცნიერული ხედვისგან განსხვავებით, რომელიც ჭეშმარიტისა და მცდარის დიქოტომიით ხელმძღვანელობს, ეკლესია „ღვთისმოსაობისა“ და „ღვთის გმობის“ დაპირისპირების ხაზით ვითარდება. რიტუალი არსობრივად არც ჭეშმარიტია და არც მცდარი.

ვირტუალურ სივრცეში რიტუალური გამეორების ენა რელიგიური პოსტების გაზიარებით გამოიხატება. გარდა ამისა, ქართულ ფეისბუქ-სივრცეში სასულიერო პირების მხრიდან შეინიშნება რიტუალების გაციფრულების მცდელობებიც. თუმცა, როგორც მესამე თავში გამოჩნდება, ამგვარი მცდელობები ჯერ-ჯერობით მცდელობებად რჩება და რეალური ფუნდამენტი არ გააჩნია.

ზემოთ იმ საინტერესო თემებსა და ბოლოდროინდელ კვლევებზე ვისაუბრე, რაც მოცემულ საკვლევ საკითხებს უდაოდ აქტუალურსა და მიმზიდველს ხდის. აქ ვამთავრებ ნაშრომის თეორიულ ნაწილს და ემპირიულ კვლევაზე გადავდივარ, სადაც მონაცემთა ინტერპრეტაციასაც შემოგთავაზებთ.

თავი III

ფეისბუქმა რა ჰქმნა?!

შესავალში მოყვანილი სტატისტიკა კარგად აჩვენებს, რომ საქართველოში ვირტუალური სოციალური ქსელები უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მომხმარებლების მზარდი რაოდენობა, მათ მიერ ფეისბუქზე გატარებული დრო თემას განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის. ჩემს სამეცნიერო ინტერესზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აღნიშნული თემა საზოგადოების ფართო მასებისთვისაც კი ფრიად საინტერესო და საჭირბოროტოა. ფუნდამენტური გამოკვლევა საზოგადოებაში არსებული სოციალური და რელიგიური ვირტუალური იდენტობების ვიზუალიზაციისა და გაანალიზების საშუალებას მოგვცემს, რაც ინფორმაციულ ეპოქაში ჩვენს სოციუმს აუცილებლად წაადგება.

როგორც შესავალში აღვნიშნე, ჩემი კვლევის **მიზანი** ქართველთა მართლმადიდებლური ონლაინ-იდენტობების, მათი წარმომქმნელი პროცესების, ამგვარ იდენტობებზე ფეისბუქის გავლენის აღწერა და ანალიზი გახლდათ. შესაბამისად, კვლევის **ამოცანები** აქტიურ ქართველ ფეისბუქ-მომხმარებელთა გამოკითხვა, მათი რელიგიური და სოციალური ატიტუდების ძიებაა.

მეთოდი: ძირითად მეთოდად სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერა და მათი ანალიზი დავსახე. შევიმუშავე შესაბამისი გზამკვლევიც (გაიდლაინი), რომლის შესაბამისადაც წარვმართე კვლევის მთელი პროცესი. აღსანიშნავია ფეისბუქ-სივრცეში არსებული ტექსტებზე დაკვირვება და მათი ანალიზი, რომელიც ჩემთვის, როგორც ფეისბუქის მომხმარებლისთვის, იოლი განსახორციელებელი და საკმაოდ საინტერესო პროცესი გამოდგა. გარდა ამისა, ფეისბუქის მეშვეობით ჩავატარე ფოკუს ჯგუფი, რომელმაც ფრიად

დინამიკური ხასიათი მიიღო და ინტერვიუებში გამოთქმული შედარებით ბუნდოვანი ასპექტები გამოასწორა.

მონაცემთა ინტერპრეტაცია: მიღებული მონაცემები ზოგადი თემატური ანალიზისა და დისკურსული ანალიზის მეშვეობით განვიხილე და დავამუშავე. დისკურს-ანალიზში, რომელიც ზოგადი ტერმინია და სხვადასხვა დისციპლინაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მეტწილად სოციო-კულტურული ინფორმაციის ენის, მეტყველების და ტექსტების ანალიზის გზით ინფორმაციის მიღების ინსტრუმენტს ვგულისხმობ. თემატური ანალიზი კი, რომელიც კონტენტ-ანალიზის ნაწილია, უფრო მეტად რესპონდენტთა იდეებს, ფიქრებს, გრძნობებს და მსგავსი ინტროვერტული ხაზების წინ წამოწევასა და გაანალიზებაზე სვამს აქცენტებს.

კვლევის მონაწილეები: ინტერვიუებში გამოიკითხა ოცი სხვადასხვა ასაკის (18-55 წელი), პროფესიის, ცხოვრების სტილისა და შეხედულების მქონე ადამიანი. თერთმეტი მათგანი მდედრობითი, ცხრა კი მამრობითი სქესის წარმომადგენელი გახლდათ.

ფოკუს ჯგუფი რვა ცდისპირისგან შედგებოდა (21-30 წელი). მათგან ოთხი მონაწილე ინკოგნიტოდ იყო ჩართული (სქესი და ასაკი უცნობია).

კვლევის შეზღუდვები: კვლევის შემაფერხებელ ფაქტორად რესპონდენტთა პასუხების სანდოობა გახლდათ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ნათლად ჩანდა. ეს საკვლევი საკითხის სენსიტიურობასა და ჩვენს სოციუმში არსებულ რელიგიურ ატიტუდებს უნდა მიეწეროს. დამატებითი ფოკუს-ჯგუფის მოწყობა სწორედ ამგვარი ბარიერის გადასალახად გადავწყვიტე.

მონაცემთა ინტერპრეტაცია

საგულისხმოა, რომ ვირტუალურ ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა უფრო თამამად და ღიად დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები, ვიდრე პირისპირი ინტერვიუების რესპონდენტდებმა. მაგალითად, ისეთ სენსიტიურ თემაზე, როგორიც ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული წმინდანის ექსჰუმაციაა, ინტერვიუს რესპონდენტები მკაცრი და რადიკალური პოზიციების დაფიქსირებას ერიდებოდნენ. ხოლო ვირტუალურ ფოკუს ჯგუფში კითხვაზე „რას ფიქრობთ გაბრიელ ბერის ნეშტის სურათების ფეისბუქში გამოფენაზე“ ერთ-ერთმა მონაწილემ ერთობ რადიკალური პოზიცია დააფიქსირა:

„ქრისტიანი ვარ - მართლმადიდებელი, მაგრამ მრცხვენია ჩემი ‘თანამოძმეების’, მრცხვენია იმ ხალხის, რომლებიც მამა გაბრიელის საფლავიდან აღებულ მიწას ეკლესიებსა თუ ბაზრობებზე’ ყიდიან, მრცხვენია იმათი, ვინც მხოლოდ ჯიბის გასქელების გამო აკეთებს ამას. მრცხვენია მათი, ვინც მსგავს ფოტოებს ფეისბუქ გვერდზე აზიარებს. გამოფხიზლდით ხალხო, ამ ყველაფრის შემდეგ მე მეძახიან ურწმუნოს და თვითონ ვითომ დიდი მორწმუნეები არიან!“

ხოლო იგივე შეკითხვაზე პირისპირი ინტერვიუს მონაწილემ შედარებით თავშეკავებული პასუხი გამცა:

„მიუღებელია თუ ამ კადრებს ააშკარავებს რომელიმე ოფიციალური ორგანო, მაგალითად, კონკრეტული ეკლესიის მოძღვარმა რომ დადოს. მაგრამ კონკრეტულ ადამიანს ვერ დაუშლი. ინდივიდუალურია და აქვეყნებს ფოტოს ისე, როგორც გამოაქვეყნებდა თავისას. ნუ შეიძლება ბევრს არ სიამოვნებდეს, მაგრამ მისაღები ალბათ არის რა.“ (ე.ყ. 48 წლის).

ვგონებ, კონტრასტი ნათელია. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება - ზემოხსენებული მონაწილე ფოკუს ჯგუფში ფსევდონიმით მონაწილეობდა და არც სხვა პირადი მონაცემები ჰქონია მითითებული.

3.1 ვირტუალური ემოციები „ნამდვილია“

ფეისბუქი, როგორც ფენომენი, კაცობრიობისთვის ახალი ხილია. როგორც პირველ თავში აღვნიშნე, აქ გამოხატულ ემოციებთან დაკავშირებით საერთო კონსენსუსი ჯერ-ჯერობით არ არსებობს და აზრები გაყოფილია. ამიტომ რესპონდენტებს საშუალება მივეცი საკუთარი აზრი რაც შეიძლება გულწრფელად დაეფიქსირებინათ.

ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებს: „[ვირტუალურად გამოხატული ემოციები] არის გულწრფელი თუ არა, ამას ზოგჯერ მნიშვნელობა ეკარგება, რადგან ფეისბუქი ერთგვარი ალტერნატიული სამყაროა, რომელსაც თავისი ცხოვრება აქვს.“ (ბ.მ. 25 წლის) დავამატებდი, რომ ამ ალტერნატიული სამყაროდან ზოგიერთი თემა ნაკლებად „ცოცხლდება“, ანუ რეალურ სამყაროში გადმოსვლის ტენდენცია ნაკლებია, ხოლო ზოგი საკითხი პირიქით - შეიძლება ითქვას, ასეთ სენსიტიურ თემებს ფეისბუქი კიდევ უფრო მგრძნობიარეს ხდის. კვლევიდან ირკვევა, რომ ეს მოსაზრება მართებულია ვირტუალურ სამყაროებშიც.

სხვა რესპონდენტი გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ადამიანები რეალობის შეგრძნებას ნელ-ნელა ვკარგავთ, რაც რეალურ ცხოვრებაში გულახდილ ურთიერთობებს ხელს უშლის:

> „მიფიქრია მაგაზე. როგორ შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება მაგ კუთხით. გავხდით უფრო გახსნილები ერთმანეთთან, ოღონდ ვირტუალურ სამყაროში, პირისპირ კი უკვე ძალიან გვიჭირს. დაგვავიწყდა პირისპირ საუბარი და დაირღვა იმის შეგრძნება, რომ ვიღაც დგას შენ წინ და უნდა ესაუბრო გულახდილად.“ (ნ.გ. 27 წლის)

დაფიქსირდა მოსაზრებაც, რომ ფეისბუქში მოტყუება უფრო იოლია, ვიდრე ცხოვრებაში:

„ძნელია კონტროლი რეალურ ცხოვრებაში ვიღაც მოატყუო, რადგან აისახება შენი სხეულის ენაზე. ფეისბუქში ამ ყველაფერს ეკარგება ძალა და ხარ მარტო ტექსტზე დამოკიდებული. ტექსტში კი მოტყუება ძაან მარტივია.“ (რ. კ. 25 წლის)

უმეტესობა თანხმდება, რომ ფეისბუქში კომუნიკაცია ცხოვრებისეულ ურთიერთობას ბოლომდე ვერ ანაცვლებს:

„ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ფეისბუქზე მომიწონებია ისეთი ადამიანის ფოტო, რომელიც ყველაფერს ძალიან აქტიურად მიწონებს და შენც სინდისის ქენჯნა რომ გაქვს რომ შენც უნდა დაულაიქო, მაგრამ არავირტუალურ სამყაროში ჩემთვის უფრო იოლია ადამიანთან კონტაქტი და საუბარი, ძალაინ მიყვარს ‘ლაივ-კონტაქტი’ და საუბრისას ადამიანისთვის თვალებში ყურება, მის ემოციას რომ ნამდვილად გრძნობ. ვირტუალურად შეიძლება ადამიანმა მომიწონოს, მაგრამ ზუსტად ვიცოდე რომ უბრალოდ ‘დამილაიქა’ და მორჩა და სულ არ მსიამოვნებს ესეთი რაღაცეები.“ (მ.გ. 49 წლის)

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს არცაა ვირტუალური სოციალური ქსელების თვითმიზანი. ჯერ-ჯერობით ფეისბუქი ადამიანური კომუნიკაციის ნაწილს წარმოადგენს და მისი მთლიანად ჩანაცვლება არ შეუძლია (Baym et al., 2004). მაგრამ როგორც ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფში გამოჩნდა, ადამიანებისთვის ისიც ძალიან მნიშვნელოვანია თუ რას ფიქრობენ სხვები მათზე ფეისბუქში - ზოგ შემთხვევაში კი უფრო მნიშვნელოვანიც, ვიდრე რეალურ სამყაროში. ეს მარტივად აიხსნება: ცხოვრებაში მათ ტყუილებს საკუთარ თავსა თუ სხვა საკითხებზე შემოწმებას არავინ დაუწყებს და რომც შეამოწმოს, ამას თვითშეფასებაზე მცირე გავლენა ექნება - მათ ხომ ფეისბუქში გაცილებით მეტი ‘მეგობარი’ და ნაცნობი ჰყავთ, ამიტომ ‘ფეისბუქ-პერსონას’ იმიჯი უფრო ანგარიშგასაწევია. შეიძლება დავასკვნათ, რომ ფეისბუქში გამოხატული ემოციები ხშირ შემთხვევაში ნამდვილად ავთენტურია.

3.2 გაცოცხლებული რელიგია

კარლ მარქსს თუ დავესესხებით, რელიგია ოპიუმია ხალხისთვის. მაგრამ რა არის ფეისბუქი რელიგიისთვის? შევეცადე გამერკვია თუ რამდენად იყენებენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები მრევლის სამართავ ბერკეტებს ფეისბუქში და რამდენად ეფექტურია ისინი.

თვალსაჩინოა, რომ რელიგიური და პოლიტიკური შინაარსის ღონისძიებები რეალურ ცხოვრებაში ტრანსფორმაციის დიდი იმპულსით გამოირჩევა. ჩვენში გავცრელებულია ნახევრადხუმრობით ნათქვამი „ოღონდ პოლიტიკასა და რელიგიაზე ნუ ვილაპარაკებთ და სხვა ნებისმიერ თემაზეო.“ ხუმრობებს ყოველთვის სოციალური და კულტურული ფონი უდევს საფუძვლად და ამ ფრაზის მიუხედავად, მაინც ყველა პოლიტიკასა და რელიგიაზე საუბრობს. იგივე ხდება ფეისბუქშიც და ამასთან ერთად, ამ ორ თემას „გაცოცხლების“ დიდი პოტენციალი აღმოაჩნდათ. საკითხის უკეთ გამოსარკვევად რესპონდენტებს შემდეგი კითხვებით მივმართე:

- რა სახის მიწვევებს ეხმაურებით? (აქცია, ღონისძიება...)
- რეალურად ხშირად მიდიხართ ამ მიწვევებზე?
- თუ არ მიდიხართ, მაშინ ვირტუალურად რატომ „ეთანხმებით“?
- როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ ქართველებისთვისაა დამახასიათებელი? რატომ?
- თქვენი აზრით, კონკრეტულად რა ტიპის აქციებზე მიდის ხალხი და რომელზე არა? რატომ?

რესპონდენტთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ფეისბუქში ორგანიზებულ ე.წ. „ივენთებს“ დიდი ინფორმაციული მნიშვნელობა ენიჭება და დღესდღეობით მათ გარეშე პრაქტიკულად არცერთი ღონისძიება არ იგეგმება:

„ზოგადად რამე ‘ივენთი’ თუ ტარდება, ყოველთვის ფეისბუქში ვიგებ. ძირითადად, თითქმის ყოველთვის მივდივარ გამოფენებზე, ანუ ხელოვნებას რაც ეხება, საქველმოქმედო აქციებზე და ასევე გასართობად.“ (ე.ბ. 20 წლის)

„ძირითადად ფეისბუქით ვეხმაურები ასეთ მოწვევებს და რასაც ვეხმაურები აუცილებლად მივდივარ ხოლმე.“ (ე.ყ. 48 წლის)

„თუ ‘დაეთენდინგებული’ მაქვს, შეძლებისდაგვარად მივდივარ. ასეთი ღონისძიებები ჩემამდე სოციალური ქსელების საშუალებით აღწევს და ალბათ გასაკვირიც არაფერია.“ (ნ.დ. 24 წლის)

„90 პროცენტი მივდივარ. თუ არ მივდვივარ ფეისბუქზეც არ ვეთანხმები ხოლმე მიწვევას.“ (ბ.კ. 26 წლის)

ამის შემდგომ შევეცადე გამეგო თუ რომელია ის სენსიტიური საკითხები და ღონისძიებები, რომლებსაც ვირტუალური განზომილებიდან რეალურ ცხოვრებაში გადასვლის მეტი ტენდენცია გააჩნიათ, ვიდრე სხვა დანარჩენებს. პასუხები, როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი გამოდგა:

„აი მაგალითად ეხლა ცოტა ხნის წინ გენდერულ თანასწორობაზე იყო ბევრი პოსტი ფეისბუქზე, სხვდასხვა ჯგუფები ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ რომ გითხრათ რომ ყველაფერს ვეხმაურები, არა... ...ყველაზე ხშირად მაინც [პოლიტიკურ] აქციებზე წავსულვარ.“ (ნ.შ. 38 წლის)

„მახსოვს ძალადობის წინააღმდეგ აქციაზე წავედი... აი, 17 მაისის დარბევის გასაპროტესტებლად რომ დაიგეგმა. მეგობრებმა გააზიარეს და ერთად ვიყავით წასულები.“ (ნ.ა. 26 წლის)

„დიახ, გაბრიელ ბერის წმინდა ნაწილების გადასვენებაზეც... რა თქმა უნდა, ეს მანამდეც ვიცოდი. დიახ. მაგრამ ტრანსპორტირების დეტალები და დრო და ა.შ. ფეისბუქზე დავაზუსტე.“ (ლ. ჩ. 42 წლის)

არსებობს ბევრი საჭირბოროტო სოციალური თემა, რომელთაც რესპონდენტები ფეისბუქის საშუალებით აქტიურად ეხმაურებიან („‘დაეთენდინგებული’ მქონდა კაზრეთელი მუშების მხარდასაჭერ აქციაზე წასვლა, მაგრამ ვეღარ მოვახერხე“; „ძალიან არ მომწონს ვაკის პარკში ხეების მოჭრა, რომელი საუკუნეა და რა ხდება საერთოდ. ფეისბუქშიც გავაზიარე. თავად არ ვყოფილვარ, მაგრამ სოლიდარობას ვუცხადებდი შორიდან.“, და ა.შ.), მაგრამ როგორც ჩანს, ისინი რელიგიურად მოტივირებულ ღონისძიებებს კონკურენციას ვერ უწევენ.

3.3 ფეისბუქ-აღსარება

იმაზე თუ როგორ გავლენას ახდენს ფეისბუქი ქართულ საეკლესიო დისკურსებზე და შესაძლებელია თუ არა რიტუალების ვირტუალურად აღსრულება, ჩემს რესპონდენტებს გავესაუბრე. აქამდე მათი შეხედულება და დამოკიდებულება რიგ საკითხებში ერთმანეთს არ ემთხვეოდა, მაგრამ ამ თემატიკის გარშემო თითქმის ერთსულოვანი პოზიცია დაფიქსირდა. ინტერვიუს მსვლელობისას მეტი თვალსაჩინოებისთვის მოძღვრისა და მრევლის ვირტუალურ ურთიერთობას წამოვწევდი ხოლმე წინ, ზოგჯერ კი სულაც პირდაპირ ვეკითხებოდი რას ფიქრობდნენ „ფეისბუქ-აღსარებაზე“. შედეგი შემდეგნაირია:

თორმეტმა პიროვნებამ კატეგორიულად უარყო ფეისბუქით აღსარების ჩაბარების იდეაც კი - ისინი თვლიდნენ, რომ ამ დროს ადამიანთან (მოძღვართან) უშუალოდ პირდაპირი კონტაქტია აუცილებელი. მიზეზი ძირითადად ერთგვაროვანია: „აღსარება, ღმერთთან საუბარი და შენთვის ერთ-ერთი ყველაზე პირადი და მძიმე საკითხების განხილვა და

მონანიებაა. არ შეიძლება ეს ონლაინ რეჟიმში მოხდეს, წერით სრულად ვერ გამოხატავ შენს ნამდვილ ემოციას, არის რაღაცეები, რაც არ ექვემდებარება დროის წინსვლას და ყველაფრის გათანამედროვებას, არ შეიძლება ასეთი საკითხები ვირტუალურად მოხდეს და მოგვარდეს.“ (გ. მ. 47 წლის)

ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ ეს სულაც სარწმუნოების აღქმის დამახინჯებაა:

- მართლმადიდებლობა გამორიცხავს თვითონ ვირტუალურად და საერთოდ საჯაროდ აღსარების ჩაბარებას, მორწმუნე ადამიანი ამას არ გააკეთებს.
- მაგრამ დღევანდელ დღეს, როცა ხდება ყველაფრის გლობალიზაცია და ადამიანს ფიზიკურად არ აქვს საშუალება რომ მივიდეს მოძღვართან, ამ შემთხვევაშიც მიუღებელია?
- ასეთი მიდგომით მახინჯდება თვითონ მართლმადიდებლობის აღქმა.
- ანუ თქვენ არ ჩაბარებდით მოძღვარს ფეისბუქ-აღსარებას?
- არა, არავითარ შემთხვევაში.

ნაწილი კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის დარღვევის საფრთხეებზეც ალაპარაკდა:

„არ არსებობს ასი პროცენტით დაცული კომპიუტერული სისტემა, არ გაქვს იმის გარანტია რომ სხვა არ გისმენს. ანუ შეიძლება კონფედენციალურობაც დაირღვეს. როგორც კიბერ-უსაფრთხოების სტუდენტი გეუბნებით, რომ ეს აქსიომაა. თორემ ისე, სხვა მხრივ, ცუდს ვერაფერს ვხედავ რომ მაინცდამაინც პირისპირ თუ ვერ ხედავ ადამიანს მაგას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ალბათ.“ (ნ.გ. 27 წლის)

ის პირები, ვინც ფეისბუქ-აღსარებას უარყოფდა, მეტწილად საღვთო წერილით ხელმძღვანელობდნენ. ერთმა ქალბატონმა ბიბლიიდან იმ ციტატის მოშველიებაც სცადა, სადაც წერია, რომ ადამიანმა ერთი დღე უფალს უნდა დაუთმოს, ღვთის სახლში მივიდეს და მღვდლის („უფლის შუამავლის“) საშუალებით ესაუბროს მას. რესპონდენტთა

უმრავლესობის აზრით, მართლმადიდებლური რიტუალების გაციფრულება ან/და ფეისბუქში აღსრულება გაუმართლებელია.

მიუხედავად ამისა, არსებობენ პიროვნებები, რომელთათვისაც სულაც არაა აუცილებელი მოძღვარი გყავდეს და მას ჩააბარო აღსარება („...იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ღმერთი ყოველთვის შენთან არის და გისმენს - შეგიძლია უშუალოდ მას ესაუბრო და მოინანიო ცოდვები“ - ბ.მ. 25 წლის). თუმცა, როდესაც რესპონდენტს ესმოდა ფრაზა „ფეისბუქ-აღსარება“ მათი უმრავლესობისთვის ეს იმდენად წარმოუდგენელი საკითხი იყო, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში კითხვის დაზუსტებას ითხოვდნენ. ვფიქრობ, ეს თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ადამიანებს, თავიანთი სურვილების მიუხედავად, დროთა განმავლობაში უწევთ სიახლეებთან შეგუება და მორგება, მაგრამ ამ ეტაპზე პრაქტიკულად ყველა ასაკის და ცხოვრების სტილის (მორწმუნე-ათეისტი) ადამიანისთვის ფეისბუქ-აღსარება მიუღებელი აღმოჩნდა და მას ჯერ-ჯერობით ვერ შეეგუებიან.

3.4 მიცვალებული აღდგა!

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ადამიანები ცხოვრების დიდ ნაწილს უკვე ვირტუალურ სამყაროებში ატარებენ. როგორც აღვნიშნე, ამ მხრივ ფეისბუქი ნამდვილი ჩემპიონია. არ არის შორი დრო, როცა საბოლოო განსასვენებელსაც ვირტუალურ სამყაროში ვპოვებთ და ამის პრეცენდენტები არსებობს. მაგალითად, რა მოსდის ფეისბუქზე ადამიანის ფეისბუქ-პროფილს, როცა ის რეალურ ცხოვრებაში გარდაიცვლება? მარკ ცუკერბერგმა უკვე შემოგვთავაზა ამ კითხვაზე პასუხი - „მემორიალიზება“, რომელიც განსვენებულის ფეისბუქ-მეგობრების ერთობლივი ოპერაციების ჯამს წარმოადგენს. ანუ ხდება მიცვალებულის „ვირტუალური დასაფლავება“. ასეთი პროფილები ფეისბუქზე უკვე მრავლადაა. შიშობენ, რომ მალე „ფეისბუქ-სასაფლაო“ იმდენად გაიზრდება, რომ ცოცხალი მომხმარებლების

რიცხვსაც კი გადააჭარბებს. ახლა კი მსურს თქვენი ყურადღება სულ სხვა, ნამდვილ მიცვალებულზე შევაჩერო.

მართლმადიდებლური სამყაროს წეს-ჩვეულებების მიხედვით, ადამიანის წმინდანად შერაცხვისთვის გარკვეული პროცედურებია შესასრულებელი, ერთ-ერთი მათგანი კი მისი გარდაცვალებიდან გარკვეული პერიოდის (ოცი წლის) შემდეგ საფლავის გახსნა და ნეშტის უხრწნელობის შემოწმებაა. ეს ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებად ითვლება იმისა, რომ ადამიანი წმინდანად შერაცხვის ღირსია.

ასეთი ფაქტის შემსწრენი 2014 წლის თებერვალში გავხდით. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 1995 წელს გარდაცვლილი ბერი გაბრიელის საფლავის ექსჰუმაცია გადაწყვიტა, რამაც ქართულ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ ამბავმა პრაქტიკულად ყველა ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთი და მთელი ქართული ინტერნეტ-სივრცე მოიცვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტებს შემდეგი სახის კითხვები დავუსვი:

- იცით თუ არა რამე გაბრიელ ბერის საფლავის ექსჰუმაციაზე?
- შეპირებული ორი სურვილის ასრულების შესახებ?
- საიდან გაიგეთ?
- დაესწარით პროცესს?
- რამდენად მისაღებია ნეშტის ფოტოსურათების ფეისბუქზე გამოფენა?
- როგორ გამოეხმაურეთ ფეისბუქზე ამ ფაქტს თქვენ ან/და თქვენი მეგობრები?

ყველა რესპონდენტს ჰქონდა ინფორმაცია საფლავის გახსნასთან დაკავშირებით, ძირითადი საინფორმაციო წყარო კი ფეისბუქი აღმოჩნდა.

რესპონდენტთა ნაწილს უარყოფითი საკითხის მიმართ დამოკიდებულება აღმოაჩნდა, თუმცა, მათგან უშუალოდ პროცესს არავინ დასწრებია. სხვა შემთხვევებში ექსჰუმაციას რესპონდენტის ფეისბუქ-მეგობარი დაესწრო, ამის მიზეზი კი მათი რწმენა, მართლმადიდებლობის ერთგულება და მოძღვრის ვირტუალური „მოწოდება“ აღმოჩნდა.

საზოგადოების დამოკიდებულება თავიდანვე ორად გაიყო. ნაწილი თვლიდა რომ ეს აუცილებელი იყო და ეჭვიც არ ეპარებოდა რომ საფლავის გახსნა ბერი გაბრიელის წმინდანად შერაცვხისთვის აუცილებელი პროცედურა გახლდათ - „არაფერი იყო ამაში წარმოუდგენელი და მიუღებელი, რადგან ჩვენი წინაპრებიც ასე იქცეოდნენ და ფეისბუქი რომ ჰქონოდათ არც ეს იქნებოდა პრობლემა“ (ლ.ჩ. 48 წლის). მეორე ნახევარი კი ფიქრობდა, რომ „არ იყო სწორი მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან ფეისბუქის წმინდა პროცესებში ჩართვა და გამოყენება“ და ფეისბუქში ასეთი საკრალური რიტუალების გაუფასურება ხდება. იყო მოსაზრებაც, რომ ეს პროცესი პიარის ნაწილია, რისი მეშვეობითაც „ეკლესიამ ძალიან დიდი სახის შემოსავალი მიიღო“; კერძოდ კი ამას დაპირებული ორი სურვილის ასრულებას მიაწერდნენ. ვინაიდან იქ „მთელი ქვეყნიდან მიდიოდნენ ადამიანები რომელთათვისაც ეს უკანასკნელი იმედი იყო და არ იშურებდნენ არც შესაწირს და არც თანხას სანთლებისთვის და მიწასაც ყიდულობდნენ საფლავიდან აღებულს“ (ნ.გ. 27 წლის). აქვე გამოიკვეთა მძიმე სოციალური ფონის პრობლემაც, რასაც „ლომის წვლილი მიუძღვის ხალხის მარტივად მართვაში“ (ლ. ძ. 31 წლის).

ბევრი რესპონდენტისთვის ცხედრის ფოტოების ფეისბუქში გამოფენა მიუღებელი აღმოჩნდა: „იმის დაუსრულებლად განხილვა, გაიხრწნა თუ არა მისი სხეული, რასაც შემდეგ მოყვებოდა დაპირებული ორი სურვილის შესრულება/შეუსრულებლობის თემა, იმედგაცრუელბული მომლოცველები და ა.შ. ძალიან არასწორია და რაც მალე დამთავრდება, მით უკეთესი“ (ლ. მ. 25 წლის). უმეტესობა აღნიშნავდა, რომ იმ პერიოდში საკითხი იმდენად აქტუალური იყო ფეისბუქში, რომ მათი დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც უწევდათ სტატიების ან ფოტოების ნახვა. ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ეს ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-

ერთი ფორმაა. მე, მაგალითად, სულ არ მინდა ჩემმა ბავშვებმა მიცვალებული ადამიანის სურათები ათვალიერონ და ამის კონტროლი კი ძალიან ძნელია. მით უმეტეს, არ ვარ მართლმადიდებელი და არც ვალდებული ვარ ჩემი 'თაიმლაინი' მსგავსი სიახლეებით იყოს გადაჭედილი" (გ. მ. 23 წლის). ფოკუს ჯგუფის რამდენიმე მონაწილემ კი იმის არგუმენტად თუ რატომ იყო მათთვის ეს მოვლენა მიუღებელი, ადმიანის რწმენის შერყევა დაასახელა:

„ჩემი აზრით არ არის ნეშტის ფოტოების ფეისბუქზე გამოქვეყნება მისაღები და ვიტყვი რატომ. მთავარი არის ჩემი აზრით რწმენა.. არავის არ უნახავს ღმერთი და არავის არ უნახავს იესო და ხალხს უბრალოდ სწამს ღმერთისაც და იესოსიც. და ესე იყო გაბრიელ ბერიც, წმინდანი არის ხომ - ხალხს სჯერა რომ მის საფლავზე რომ მიხვალ სასწაული მოხდება და რაღაც, ამით ახდენენ ხალხზე ზემოქმედებას - დაანახეს მისი საფლავი და.. არასწორია ჩემი აზრით. ზოგიერთებს მაინც შეერყეოდა რწმენა, რომ ცოტა გახრწნილია და რაღაც ლაპარაკები იყო ფეისბუქში... ჩემი აზრით არ უნდა მომხდარიყო ეგეთი რაღაც საერთოდ" (მ. ბ. 25 წლის).

„ჩემს მეგობრებს რა თქმა უნდა ჰქონდათ რბილად რომ ვთქვათ ცუდი რეაქცია და აფიქსირებდნენ კიდეც ამას, მე კი სადაც ვაწყდებოდი ამ ფოტოებს ვცდილობდი თვალი ამერიდებინა" (ნ. გ. 27 წლის).

რამდენიმე თვეში ამ საკითხმა აქტუალურობა დაკარგა, მაგრამ საზოგადოების აზრი დღემდე ორადაა გაყოფილი, ზოგიერთს „რწმენა უფრო გაუმყარდა", ზოგიერთს კი პირიქით, ამ საკითხმა და უშუალოდ ფოტოების ნახვამ ისეთი ნეგატიური გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, რომ მათ ეკლესიის მიმათ აგრესიის-მაგვარი გრძნობაც გაუჩნდათ და ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ჩამოშორდნენ („ვთვლი, რომ არ არის სწორი ასეთი საკითხების გასაჯაროება და გაპიარება, რადგან სარწმუნოება ისეთი საკითხია, სადაც ვერ განსაზღვრავ რა რეაქცია შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას და ამიტომ ეკლესიამ უშუალოდ უნდა აკონტროლოს მსგავსი საკითხები").

ფაქტია, რომ ფეისბუქმა ზემოაღნიშნულ რელიგიურ-საკრალურ რიტუალში თავისი წვლილი მართლაც შეიტანა და როგორც რესპონდენტთა პასუხებიდან გამოჩნდა, ეს წვლილი საკმაოდ დიდია.

3.5 „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“

სოციალური მედიის ეპოქაში ვხედავთ, თუ როგორ გახდა რელიგიური თვითექსპრესია და რეპრეზენტაცია რელიგიური იდენტობისა და პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი. პაპს, ეპისკოპოსებს და სხვა სასულიერო მოღვაწეების გვერდები ფეისბუქზე და ვირტუალური აქტიურობა დღეს უკვე აღარავის აკვირვებს. თუმცა, ეგ რა გასაკვირია, როცა თავად იესოს, ბუდასა და მუჰამედსაც კი თავიანთი ფეისბუქ-პროფილები აქვთ. რელიგიური სამყაროს მამამთავრები, საზოგადოების მხრიდან ქვეყნის მთავარ მმართველებზე არანაკლები (თუ უფრო მეტი არა) პოპულარობით და ნდობით სარგებლობენ. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი - საკმარისია ქართულ ფეისბუქ-სივრცეს თვალი გადავავლოთ, უამრავ რელიგიურ კონტენტს გადავაწყდებით.

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საზოგადოებისგან ნდობით აღჭურვილი პირია და ეს ფაქტი სიახლეს ქვეყნის არც ერთი მაცხოვრებლისთვის არ წარმოადგენს. ამიტომაც არავის გაკვირვებია, ერთი შეხედვით, რელიგიასთან შორს მყოფ სფეროში - ინტერნეტში, კერძოდ კი სოციალურ ქსელ ფეისბუქში ამ ადამიანის სახელთან დაკავშირებული გვერდების გამოჩენა.

ფეისბუქზე სამი ერთი და იმავე სახელის, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გვერდი „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“ არსებობს, სადაც ძირითადად სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებთან, მარხვებთან, მართლმადიდებლობისთვის მისაღებ და მიუღებელ

ტრადიციებთან (ვალენტინობა, ჰელოუინი) დაკავშირებული ინფორმაცია ვრცელდება. სამივე გვერდს ჯამში 277,585 ათასი მომწონებელი ჰყავს, რაც საქართველოსავით პატარა ქვეყნისთვის ფრიად შთამბეჭდავი რიცხვია. ვფიქრობ, ასეთი გვერდები რელიგიურობისა და ვირტუალურობის შეხვედრის წერტილებს, სულიერი და ციფრული სამყაროების კავშირს წარმოადგენენ. შესაბამისად, გადავწყვიტე რესპონდენტებს ამ საკითხთან დაკავშირებითაც გავსაუბრებოდი და მათი ატიტუდები გამომერკვია. კერძოდ, შემდეგი საკითხებით დავინტერესდი: რა გავლენას ახდენს ფეისბუქი მართლმადიდებლობაზე -'არყევს' მას თუ, პირიქით, აძლიერებს მას, ასეთი გვერდების არარსებობის შემთხვევაში მეტი მართლმადიდებელი იქნებოდა ქვეყანაში თუ უფრო ნაკლები, რამდენად მოქმედებს სარწმუნოების „გაფეისბუქება" მრევლის განწყობებზე - ანტიპათიას იწვევს თუ რაციონალური რწმენის მოთხოვნილებას აჩენს.

რესპონდენტთა ნაწილის მტკიცებით, ფეისბუქი მართლმადიდებლობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს: „გააჩნია, ჩემთვის მაგალითად, რომ გითხრა ან მიმყარებს რაღაცას ან მიკნინებს დამოკიდებულებას, არა, ჩემზე არ მოქმედებს, მე ჩემი დამოკიდებულება და წარმოსახვა მაქვს და რაც არ უნდა პოსტი დამიდონ ეს ჩემს რელიგიურ დამოკიდებულებას და ჩემს თვალსაზრისს ვერანაირად ვერ შემიცვლის" (ე.ყ. 48 წლის).

სხვები თვლიდნენ, რომ ფეისბუქს ძალიად დიდი გავლენა აქვს ქართულ მორწმუნეებზე და ხშირ შემთხვევაში ეს გავლენა ნეგატიურია: „ჩემთვის ძალიან არყევს. ეს ჩემთვის ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს რელიგიის მხრიდან. ანუ იმასაც, რასაც მე ვკითხულობ და რაც მე მსმენია რელიგიაზე არ შეესაბამება ერთმანეთს და მგონია რო არ არის სწორი რაც ხდება ქვეყანაში მაგ მხრივ." (ნ.დ. 25 წლის).

დაფიქსირდა მეტად საინტერესო აზრიც, რომ ფეისბუქით მიღებული ინფორმაციული ნაკადი ადამიანს ისეთ შეკითხვებზე პასუხობს, რაზეც მანამდე სასულიერო პირებისგან საუბარი თითქმის არ ხდებოდა. ფეისბუქი საშუალებას იძლევა კრიტიკული კითხვები სასულიერო

პირებს საჯარო სივრცეში დაუსვან, რომელსაც მრევლის გარდა სხვა ფართო აუდიტორიაც თვალყურს ადევნებს. მოძღვარს დიდი პასუხისგმებლობა ეკისრება - მოძველებული, ტრადიციული და ობსკურანტული მითებით ფონს ვეღარ გადიან. ამგვარად, ფეისბუქი ერგთვარ იმპულსს აჩენს, რასაც მე „რწმენის რაციონალიზაციის“ მოთხოვნილებას ვუწოდებ: „სხვა რელიგიებს რაც შეეხება რომის პაპის განცხადებებს ვკითხულობ ხშირად და ძალიან მხიბლავს ის მომენტი, რო სულ ხო რელიგია და მეცნიერება ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და არ შეიძლებოდა ვინმესი დაგეჯერებინა და მეცნიერება არ არსებობდა რელიგიისთვის... ეხლა უკვე როცა ცდილობენ გადადგას ნაბიჯები ამ რომის პაპმა რელიგიასა და მეცნიერებას შორის და რო ცდილობს რო არამარტო რელიგიური ახნსა მოუძებნოს რაღაცებს, არამედ მეცნიერულიც, ძალიან სასიამოვნოა. იმიტომ რომ მსოფლიო ვითარდება. მგონი ჩვენც მაქეთკენ მივდივართ...“ (ი. ჩ. 35 წლის).

საზოგადოებაში არსებული რწმენის რაციონალიზაციის მოთხოვნილება სხვა ასპექტებშიც გამოიხატა. მაგალითად, გამოკითხულთაგან ბევრი აფიქსირებდა, რომ მსგავსი გვერდები რწმენას არ ამყარებს:

„ჩემი აზრით, ფეისბუქში ადამიანები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას და ეგაა მთავარი. მართლმადიდებლობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა, რადგან ყველაფერი გამჭვირვალეა და ხალხი ადვილად აღარ ტყუვდება“ (ე.ბ. 24 წლის).

ზოგი თვლის, რომ ფეისბუქის გარეშე საქართველოს შესაძლოა უფრო მეტი მართლმადიდებელი ჰყოლოდა და ამ სოციალურმა ქსელმა მორწმუნეების კლება გამოიწვია: „უცნაური კითხვაა, შეიძლება მეტი ყოფილიყო, იმიტომ რომ ძირითადად როდის აცნობიერებ რეალურად რა რელიგიას მიყვები და რა მიმართულებით მიდის შენი ცხოვრება, როდესაც ხარ 20 წლამდე ასაკის, ამ ასაკის ადამიანები კი ძალიან აქტიურად იყენებენ ფეისბუქს და იქ რომ ხედავენ რომ ვიღაც რაღაცას ეწინააღმდეგება და აკრიტიკებს, მოსწონს ეს ყველაფერი და თვითონაც იგივეს იწყებს, მოსწონს ეს თავისუფლება და რეალურად

უბრალოდ შეიძლება სხვისი ზეგავლენის ქვეშ იყოს და მეტი არაფერი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ფეისბუქი ახალგაზრდა მორწმუნეებს ამცირებს“ (რ. კ. 25 წლის). „ჩემთვის ეს ცოტა მიუღებელია, მაგრამ ვფიქრობ რომ შეიძლებოდა უფრო ნაკლები ყოფილიყო, ქართველები ცოტა ამყოლები ვართ...“ (ლ. ჩ. 38 წლის).

აღმოჩნდა, რომ მსგავსი ფეისბუქ-გვერდები პოპულარიზაციის გეგმის ნაწილია: „არ მაქვს ამაზე პასუხი, მაგრამ მგონია რომ საერთოდ არ მოქმედებს და ეს ყველაფერი უფრო პოპულისტური მგონია, ალბათ ვიღაცები უბრალოდ თავს იწონებენ“ (ქ. კ. 53 წლის).

ზოგმა მართლმადიდებლობის „გაფეისბუქება“ დადებით მოვლენად შეაფასა: „მე ვფიქრობ რომ დადებითად მოქმედებს სოციუმზე, თან ის პლიუსი აქვს რომ ჩემი მაგალითიდან ვიძახი, ხშირად არ მცოდნია რაღაც დღესასწაულის შესახებ და ფეისბუქით გამიგია, ან რამე თუ მაინტერესებდა გამირკვევია, ასე რომ კი, ვფიქრობ რომ კარგია ეს ყველაფერი“ (ბ. კ. 26 წლის).

რელიგიური გავლენის ბერკეტების ვირტუალურ სფეროში, კერძოდ კი ფეისბუქში გადანაცვლებაზე საუბრისას, გამოკითხულთა 90% თვლიდა, რომ ეს მართლაც ასეა. მაგალითისთვის ბერი გაბრიელის საფლავის ექსჰუმაცია და ამ ღონისძიებაზე მისული ხალხის რაოდენობა მოჰყავდათ. გაჟღერდა მოსაზრებაც, რომ ეს მხოლოდ მართლმადიდებლობას არ ეხება: „არამარტო რელიგიური ბერკეტები, ყველანაირი გავლენის სფეროები გადასულია ფეისბუქში, მათ შორის რელიგიურიც, პოლიტიკურიც, შოუ ბიზნესის რაღაც პიარ აქციები და რავიცი ნებისმიერი გავლენის სფერო გადასულია ფეისბუქში, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ხალხი ფაქტიურად ცხოვრობს ვირტუალურად, იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს, მითუმეტეს დასაქმებული ადამიანები, ვინც მუშაობს, დროის სიმცირის გამო ვერ ახერხებენ მეგობრების, ნათესავების მეზობლების ნახვას და ეხმაურებიან მათ ფეისბუქით, დაბადების დღეებს, დღესასწაულებს, ყველაფერს

ფეისბუქით ულოცავენ, სამძიმარსაც ფეისბუქით უცხადებენ და რავიცი თითქმის ყველაფერი იქაა გადატანილი უკვე“ (გ. მ. 31 წლის).

რაც შეეხება საპირისპირო მოსაზრებას, ასეთი ერთადერთმა ადამიანმა დააფიქსირა: „თუ დარწმუნებული ხარ შენს რწმენაში არა მგონია ფეისბუქმა მოახდინოს რამე გავლენა... ჩემი აზრით, ჯერ-ჯერობით ბერკეტები არ გადასულა ფეისბუქში, მაგრამ მომავალში ვინ იცის...“ (ნ. შ. 45 წლის).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფეისბუქზე შექმნილი რელიგიური გვერდები მრევლზე და ქართულ საზოგადოებაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს. ბევრისთვის ეს ტენდენცია უკვე სრულიად მისაღები და სიახლეებთან გაცნობის ერთგვარი წყაროა. აღმოჩნდა, რომ მართლმადიდებლური გავლენის ბერკეტები ვირტუალურ სფეროში, კერძოდ კი ფეისბუქშია გადასული და ისინი დღითიდღე ძლიერდებიან.

3.6 ღმერთის ტაბურეტი

გაიხადეთ ან ანაფორები და სთქვით სამოქალაქო აზრები როგორც მოქალაქეთა, ან არა და გეცვასთ ანაფორა და სთქვით შეუბღალავად, განურყვნელად ის, რაც გიანდერძათ თქვენმა მამათმთავარმა

იესო ნაზარეველმა.

ვაჟა - ფშაველა

ონლაინ-იდენტობა დადებითი შედეგების მომტანია უმცირესობებისთვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის, შეზღუდული უნარების მქონე პირთათვის, სექსუალური უმცირესობებისთვის და სხვ. ონლაინ-იდენტობებს შეუძლიათ იმ პრეჯუდისების დაძლევაში დაგვეხმარონ, რომელიც ყოფით ცხოვრებაში იქმნება და შედეგად ჩართულობის გრძნობის ამაღლებას შეუწყონ ხელი (Silberman, 1995). მაგრამ ხდება კი ასე საქართველოში?

2013 წლის 17 მაისს, ტრანსფობიასთან და ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისში სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერი აქცია-ფლეშმობი უნდა გამართულიყო. ამის საშუალება უფლებადამცველებს სასულიერო პირებმა და მრევლმა არ მისცეს და ღონისძიების საწინააღმდეგო კონტრ-აქცია გამართეს. კონტრ-აქციის მონაწილეებმა ლგბტ აქტივისტებსა და მათ მხარდამჭერებს აქციის გამართვის საშუალება არ მისცეს, დაედევნენ, დალეწეს მიკროავტობუსები და ადამიანებს ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მოგვიანებით ინციდენტებში მონაწილე პირთა, მათ შორის სამღვდელოების პასუხისმგებლობა დადგა. თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით „მართლმსაჯულება ზედმეტად ლოიალური“ აღმოჩნდა და მხოლოდ მცირე ადმინისტრაციული დაჯარიმებით შემოიფარგლა.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მასშტაბით გამოკითხული ადამიანების 79 პროცენტი 17 მაისს თბილისში

ანტიჰომოფობიური აქციის ჩატარების გადაწყვეტილებას არ ამართლებს. გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტი აცხადებს, რომ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს ანტიდისკრიმინაციული აქციის ჩატარება გამართლებული იყო, ხოლო 9 პროცენტს ამ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია. კვლევა ჩატარებულია 12 ივნისიდან 26 ივნისის პერიოდში, სულ სქართველოს მასშტაბით გამოკითხულია 2338 რესპონდენტი პირისპირი ინტერვიუს მეთოდით. საშუალო ცდომილების ზღვარი +/– 2,9 პროცენტია (Democracy and Freedom Watch, 6 მაისი, 2014). ვფიქრობ, მოცემული კვლევა ქართულ საზოგადოებაში არსებულ ჰომოფობიურ ტენდენციებს მკაფიოდ აჩვენებს. მე კი იმის გარკვევას შევეცადე, რა როლი ითამაშა ფეისბუქმა აღნიშნულ მოვლენებში და საერთოდ რა გავლენა აქვს მსგავს ტენდენციებზე.

საქართველოში 1990 წლიდან მოყოლებული განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები, თავიანთი სრულუფლებიანობის დამკვიდრებას უკვე ღიად ცდილობენ. ფეისბუქზე მარტივია აჩვენო, რომ განსხვავებულობის გამო საზოგადოებამ არ უნდა გარიყოს და შეურაცხყოს ადამიანები. ამის მისაღწევად სხვადასხვა ქვეყანაში წლებია ტარდება აქციები, საპროტესტო გამოსვლები და აღლუმები. ბევრგან ამგვარმა გამოსვლებმა მათთვის სასურველი შედეგი მოიტანა: ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებმა მიაღწიეს, იმას რომ შეუძლიათ დააკანონონ თავიანთი ურთიერთობა, იშვილონ ბავშვები და ა.შ. ანუ ჰქონდეთ სრულფასოვანი ცხოვრების უფლება. ამას ითხოვდნენ საქართველოშიც 2013 წლის 17 მაისს, როცა ქართველმა ლგბტ საზოგადოებამ და მათმა მხარდამჭერებმა გადაწყვიტეს თავიანთი პოზიცია თბილისის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე მკაფიოდ დაეფიქსირებინათ. თუმცა, ამ ღონისძიების საბოლოო შედეგები ბევრი კონკრეტული ადამიანისთვის და ზოგადად ქვეყნის იმიჯისთვის სავალალო აღმოჩნდა - სულ ახლახანს, 2015 წლის 12 მაისს აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს 33,500 ევროს გადახდა დააკისრა. სასამართლოს დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, რომლებიც ვალდებული იყვნენ დაეცვათ დემონსტრანტები, მათ შორის

განმცხადებლები, ვერ მოახერხეს ეს. ამასთან, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მომხდარი ინციდენტი სათანადოდ არ გამოძიებულა.

მას შემდეგ, რაც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაგმო ლგბტ საზოგადოების დაგეგმილი აქცია, ქართველი სასულიერო პირების ფეისბუქ-გვერდებზე აქტიური ანტიკამპანია დაიწყო ამ აქციის ორგანიზატორების წინააღმდეგ. მღვდლებმა მრევლს სწორედ ფეისბუქის საშუალებით მოუწოდეს, რომ 17 მაისის აქციისთვის (მათი თქმით „გეი-აღლუმისთვის“) ხელი შეეშალათ: მისულიყვნენ რუსთაველის ქუჩაზე, გაეყარათ ხსენებული ტერიტორიიდან და დაეგმოთ მათი საქციელი. შედეგად ანტიჰომოფობიური აქციის მონაწილეები ბრუტალური ძალადობის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. სოციალურ ქსელებში გავრცელდა უამრავი ვიდეო-მასალა, სადაც სამღვდელოების წარმომადგენლები ფიზიკურად და სიტყვიერად ძალადობენ ადამიანებზე. მათ შორის ყველაზე პოპულარული ტაბურეტით შეიარაღებული ერთ-ერთი მღვდლის ფოტოებია, რომელიც ამ სამარცხვინო ინციდენტის სიმბოლოდ იქცა. აგრეთვე დიდი პოპულარობით სარგებლობს მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილის ვიდეოც, სადაც მოძღვარი აქციის დემონსტრანტებს მისდევს და უშვერი სიტყვებით იგინება.

აქციამდე და აქციის შემდეგაც, ამ საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს. საზოგადოების ყველა აქტიური წევრი თავის პოზიციას სოციალურ ქსელში ღიად აფიქსირებდა. იბადება ლეგიტიმური კითხვა - ფეისბუქზე გავრცელებულმა ინფორმაციამ, მოწოდებებმა, ამ საკითხზე შექმნილმა გვერდებმა, სტატიებმა თუ სტატუსებმა ხომ არ გამოიწვია აქციის გამწვავება და ამგვარი განვითარება?

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემს მიერ მოწყობილ ვირტუალურ ფოკუს-ჯგუფში აზრი ორად გაიყო და ერთგვარი ვირტუალური ომი გაჩაღდა. ნაწილი თვლიდა, რომ დარბევაში არაფერი იყო მიუღებელი, რადგან „ქართველ ადამიანს არ შეეფერება მსგავსი ქმედება“, ხოლო ნაწილი მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა ლგბტ საზოგადოების მიერ ჩატარებულ

აქციას, მძაფრად აპროტესტებდა მათ შევიწროებასა და დარბევას. ერთი რამ ნათლად გამოიკვეთა - მონაწილეთა დიდი ნაწილისთვის მიუღებელი იყო ლგბტ პირების მიმართ ფიზკური ძალადობის გამოყენება, ყველა ერთხმად გმობდა ამ ფაქტს და ეკლესიის ასეთი სახით ჩარევას. ბევრი მონაწილე აფიქსირებს, რომ გაოცდნენ სასულიერო პირის ტაბურეტით ხელში ხილვისას. ნაწილი თვლიდა, რომ მამაო ამ ტაბურეტით სდევნიდა უმცირესობებს, ნაწილი კი მოძღვარს ამართლებდა - „მან ეს ტაბურეტი რიგით მოქალაქეს გამოართვა, რათა თავიდან აეცილებინა ძალადობის ფაქტი."

ოცი გამოკითხული რესპონდენტის აზრი, იმასთან დაკავშირებით თუ რა როლი ითამაშა ფეისბუქმა 17 მაისის აქციაში, თექვსმეტი ადამიანის პასუხი იყო „ძალიან დიდი"; ისინი თვლიდნენ, რომ ფეისბუქში აქტივობის გარეშე აქციაზე ბევრად ნაკლები ადამიანი მივიდოდა და კონტრ-აქციის მოსაწყობად ეკლესიამ ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად სწორედ ფეისბუქი გამოიყენა:

- დარბევის პროცესში ვფიქრობ რომ დიდი როლი ითამაშა, ფეისბუქს თვალს ვადევნებდი და მახსოვს, რომ იყო სხვადასხვა სახის მოწოდებები რომ ყველა წასულიყო და დაეფიქსირებინა ლგბტ საზოგადოების საწინააღმდეგო აზრი.

- ანუ ფეისბუქი რომ არ ყოფილიყო, უფრო ნაკლები ხალხი მივიდოდა ამ აქციაზე ?

- დიახ, გაცილებით უფრო ნაკლები.

- უჭერდით რომელიმე პოზიციას მხარს? რომელს?

- ესე გამოკვეთილად არც ერთ პოზიციას არ ვუჭერდი მხარს, მაგრამ ეკლესიის მხრიდან რომ არ ყოფილიყო ფეისბუქით ამ საკითხის ესე პროვოცირება, შესაბამისად ამ აქციის შესახებ გაცილებით ნაკლები ხალხი გაიგებდა, არ მოყვებოდა ასეთი აჟიოტაჟი და ჩაივლიდა როგორც ერთი ჩვეულებრივი რიგითი აქცია, ეკლესიამ

მოახდინა ამის გახმაურების და უშუალოდ იქ მომხდარი აუიოტაუის პროვოცირება (რ. კ. 25 წლის).

ბევრჯერ გამეორდა მოსაზრება, რომ სწორედ ვირტუალური სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა ამდენი ადამიანის აქციაზე მისვლა:

- ფეისბუქმა ჩემი აზრით დიდი როლი ითამაშა და გეტყვი ეხლა რატო. იმიტო რო ადრე როცა არ იყო ეს სოციალური ქსელები და ფეისბუქი, არ იყო ეგეთი რაღაცები რო ხალხს გადაერეკა ერთმანეთისთვის და აი წავედით ეხლა გეების წინააღმდეგ აქციაზე. და ფეისბუქზე რო რაღაც გვერდი გაკეთდება და ხალხი ნახავს, ამან დიდი გავლენა მოახდინა ე.წ. 'ბაბულიკებში' და ძველ ბიჭებში, რომლებიც ვითომ მორწმუნეები არიან და გადაწყვიტეს რომ წასულიყვნენ და დაეცვათ თავისი ორიენტაცია თუ არ ვიცი როგორ გამოვხატო. აქ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ფეისბუქმა რომ ეს ამბავი ესე მოხდა.

- ანუ ფეისბუქი რომ არ ჰქონოდათ ამ ხალხს ამხელა გამოხმაურება არ მოყვებოდა?

- ამდენი ხალხი არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა მოსული (ნ. დ. 24 წლის).

ზოგჯერ რესპონდენტები პირდაპირ აფიქსირებდნენ, რომ ფეისბუქით მიღებულმა ინფორმაციამ „ხალხის მსოფლმხედველობაში ბევრი რამე შეცვალა" და აგრესიულობის კლება გამოიწვია, ანუ რელიგიურ ადამიანებში არსებული პრეჯუდისების შეცვლა გამოიწვია:

„ვფიქრობ, რომ ამან შეცვალა ჩემი დამოკიდებულება განსხვავებული ორიენტაციის მქონე პირებისადმი, მაგრამ ზოგადად მე აქამდეც ძალადობის წინააღმდეგი ვიყავი და არ აქვს მნიშვნელობა ლგბტ იქნება თუ მაგალითად ოჯახური ძალადობა. ბალანსი უნდა იყოს დაცული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და ლგბტ-თა პროპაგანდას შორის."

დაფიქსირდა მოსაზრებაც, რომ სწორედ ფეისბუქზე შექმნილმა „ივენთებმა“ განაპირობა აქციის ასეთი განვითარება და გაწეული პროპაგანდა ეკლესიის ორგანიზებული იყო:

- ლგბტ-ს აქციაში დიდი წვლილი მიუძღვის ფეისბუქს. იქ ყველა ერთმანეთს წერს, იცნობს თუ არა ცხოვრებაში ერთმანეთს მაგას მნიშვნელობა აღარ აქვს.

- როგორ შეიკრიბა ათასობით ადამიანი?

- ჩემი აზრით ასი ათასი „ვაჟკაცი“ შეიკრიბა დაძახებაზე, რომ ეს საქართველოა... ერთ „ვაჟკაცს“ უთხრა ერთმა მამაომ ფეისბუქში, რომ... არ ვიცი როგორ შეიძლება კარგი მამაო მოუწოდებდეს მაგას, მაგრამ მოკლედ მამაომ უთხრა ამ ერთ კაი ქართველს და... ჯერ საერთოდ მამაოებით დაიწყო. ეკლესია შეთანხმდა, თუ ყველა არა, დიდი ნაწილი მაინც, რომ არ უნდა მივცეთ აქციის ჩატარების უფლება. ამის შემდეგ ყველამ თავის მრევლს უთხრა რომ ესე და ესე, ხალხს ვკრიბავთ. ამ მრევლმა უკვე თავიანთ ახლობლებს მიწერა, გააზიარეს პოსტები და ა.შ. და ხალხი შეგროვდა.

- ანუ ფეისბუქის ბრალია განვითარებული მოვლენები?

- კი.

- რომელ პოზიციას უჭერდი მხარს?

- იმათ ვინც აწამეს. ის ვინც ცემეს, ვისაც ურტყეს ეკლესიის სახელით და ცნობილი არის ისტორიულად რომ ყველაზე დიდი ომები და ყველაფერი ხდებოდა რელიგიის გამო და მეტწილად ქრისტიანობის გამო. და ოცდამეერთე საუკუნეში ნაკლებად ვისურვებდი პატარა ომს მთავარ გამზირზე. როცა ვიღაცას ურტყამენ იმიტომ, რომ არ არის ისეთი, როგორიც სხვებს უნდათ რომ იყოს, ესაა თავისთავად მიუღებელი ჩემთვის. მით უმეტეს, როცა ეს ხდება ეკლესიის სახელით და ღმერთის, რომელიც ქადაგებს სიყვარულს. იმ ადამიანებში ვინც არბევდა კარგი ვერაფერი ვერ დავინახე, იმ ადამიანებში ვინც თავის პოზიციას გამოხატავდა, ცუდი ვერ დავინახე. იმათ ვუჭერ

> მხარს ვინც დაიჩაგრა და მოვაწერე კიდეც პეტიციას ხელი ფეისბუქის საშუალებით (სტილი დაცულია. ნ. დ. 25 წლის).

რაც შეეხება რესპონდენტის მიერ ნახსენებ პეტიციას, სოციალურ ქსელ ფეისბუქში დაიწყო კამპანია, სადაც ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული აქციის კონტრ-აქციის მიერ დარბევის თაობაზე განცხადების ხელმოწერები გროვდებოდა - საზოგადოება მხარს უჭერდა ლგბტ პირებს, გმობდა მათი დარბევის ფაქტს, მოითხოვდა სახელმწიფოს დროულად რეაგირებას და მოძალადეთა დასჯას:

„მოვითხოვთ, ადეკვატურად და დროულად შეაფასოთ აღნიშნული ფაქტები. უმოქმედობა შესაძლოა მეტისმეტად ძვირად დაუჯდეს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას, რადგან მიგვაჩნია, რომ ამჟამად ვდგავართ რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და თეოკრატიის სერიოზული საფრთხის წინაშე. ამის თავიდან აცილება ერთადერთი, ცივილიზებული გზით არის შესაძლებელი – ყველა მოძალადე და ძალადობის წამქეზებელი კანონის მოთხოვნის შესაბამისად უნდა დაისაჯოს"- აღნიშნულია პეტიციაში რომელსაც ცამეტი ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი (http://www.media.ge/ge/portal/news/300674/).

ზოგჯერ რესპონდენტები საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებდნენ, მაგრამ სხვების გამოთქმულ აზრებს ეთანხმებოდნენ. ერთმა ისიც კი აღნიშნა, რომ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები სამედიცინო თვალსაზრისით არ არიან ჯანმრთელები:

> „ჩემს გვერდზე დაფიქსირდა ესეთი შემთხვევები, რო ვიღაცეები მათ ჯანმრთელობაზე ლაპარაკობდნენ და მე მათ ვეთანხმები. მასეთ ადამიანებს ავადმყოფ ადამიანებს ვეძახი მე. ადამიანი რომელიც არის ჰომოსექსუალი, ჩემთვის არის ავადმყოფი ადამიანი. არ უნდა გავკიცხოთ, მაგრამ აღლუმის ჩატარების მომხრე მაინცდამაინც მე არ ვარ. მაგრამ არც იმის მომხრე ვარ რომ ძალადობით დაირბეს ეს და ა.შ. შეიძლება უბრალოდ გაკეთდეს მოწოდება და

> ახსნა რომ მოხდეს ყველაფერი მშვიდობიანი კუთხით და არა მაინცდამაინც ცემა-ტყეპა ატყდეს, ან ვინმე დაშავდეს ფიზიკურად თუ მორალურად“ (ნ. გ. 27 წლის).

ამ შემთხვევაში ფეისბუქი არა მარტო „საღი“ აზრის ან პირადი პოზიციების ინფორმაციულ არხად გვევლინება, არამედ დეზინფორმაციის გამავრცელებელ მძლავრ ინსტრუმენტადაც.

შედეგები: აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფიდან უფრო თამამი და რამდენადმე სანდო შედეგები მივიღე, ვიდრე ზოგიერთი ინტერვიუს შემთხვევაში. პირველ თავში განხილული ნიღბის ეფექტი და მისი შექმნილი დაცულობის შეგრძნება ძალიან გამომადგა ჩემ მიერ ჩატარებულ ვირტუალურ ფოკუს ჯგუფში. ჯგუფი რვა მონაწილისგან შედგებოდა და ფაქტობრივად იგივე თემებზე ისაუბრეს, რაზეც ინტერვიუების რესპონდენტებმა. თუმცა, რიგ საკითხებში გაცილებით მეტი გულახდილობა გამოამჟღავნეს, ვიდრე პირისპირ კომუნიკაციაში ჩართულმა ინდივიდებმა.

რიტუალების ფეისბუქში გადასვლაზე (კერძოდ ფეისბუქში აღსარებაზე) თითქმის ერთსულოვანი პასუხი დაფიქსირდა - ქართული საზოგადოება ჯერ ამისთვის მზად არაა. თუმცა, იკვეთება იმის ნიშნებიც, რომ სამომავლოდ ეს ტენდენცია შეიცვალოს.

როგორც ირკვევა, ცდისპირთა დიდი ნაწილისთვის ქართველობა და მართლმადიდებლობა განუყოფელი მთლიანობაა, ანუ ძალიან ხშირად ხდება რელიგიურობისა და ეთნიკურობის გაიგივება.

ინტერვიუების ანალიზისას ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციასთან დაკავშირებით ვიღებთ ასეთ შედეგს: რესპონდენტების ოთხმოცი პროცენტი თვლის რომ, 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი ბერკეტი სოციალური ქსელი ფეისბუქი იყო, ათი თვლის რომ მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა მომხდართან, ხოლო დანარჩენ ათს უბრალოდ ყურადღება არ მიუქცევია ამ ფაქტისთვის ან საკუთარ პოზიციას ღიად არ აფიქსირებს. ხსენებულ მოვლენებში გადამწყვეტი როლი სწორედ „სოციალურ ქსელებში გამართულმა ბრძოლამ“ ითამაშა. საგულისხმოა, რომ 17 მაისის დაპირისპირება ვირტუალურ სივრცეში დაიწყო, რეალურ ცხოვრებაში გაგრძელდა და საბოლოოდ ისევ ფეისბუქში გადაინაცვლა. იგი დღემდე გრძელდება და სამოქალაქო საზოგადოების დიდ ყურადღებას მოითხოვს.

როგორც ჩანს ფეისბუქი ადამიანებისთვის ალტერნატიული, უკეთესი სამყაროა, სადაც საკუთარ ონლაინ-იდენტობებს სხვადასხვა ხერხებით იქმნიან და საჭიროებისამებრ იცვლიან კიდეც მათ. ასეთი მოქნილობა ადამიანთა ოპტიმიზმის საფუძველი ხდება. სწორედ ამგვარი ოპტიმიზმის გამოძახილია ერთ-ერთი რესპონდენტის ნათქვამიც:

„ფეისბუქი რაღაც იმედის მსგავსია კაცობრიობისთვის. მწვანედ ანთებულ შუქნიშანს წააგავს. მწვანე მოსწონთ ადამიანებს და მწვანედ ანთებული მეგობრები ეიმედებათ - სწორედ აქ გრძნობენ, რომ მარტონი არ არიან. როცა დარჩები მარტო, გვერდით არავინ არ გყავს, აღარაფერი გართობს, დრო ფეისბუქით გაგყავს - გთხოვ, დამიმეგობრდი...“

დასკვნები და შეფასებები: შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ - ნიღბის ეფექტი იმ შემთხვევაში მოქმედებს სრულად, როცა პირი თავიდან ბოლომდე ინკოგნიტოდ რჩება და ანონიმურობას ინარჩუნებს. ამ მიგნების გამოყენება ეფექტურად შეიძლება ისეთ სენსიტიურ საგნებთან მიმართებით, როგორიც ჩემი საკვლევი თემაა - თუ მკვლევარი ინტერვიუებიდან ვერ იღებს ბოლომდე სასურველ ინფორმაციას, ან მონაცემები ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს, საკმარისია ფოკუს ჯგუფში მონაწილეების ანონიმურობა უზრუნველყოს და პრობლემაც გადაიჭრება.

საქართველოში რელიგია ერთობ სენსიტიური საკითხი აღმოჩნდა. ფეისბუქში არსებული მართლმადიდებლობასთან დაკავშირებული ასპექტები იმდენად მძლავრი ემოციური და კონატიური მუხტის მატარებელია, რომ ცხოვრებაში ტრანსფორმაციისთვის ძალიან მცირეა საჭირო.

რაც შეეხება რელიგიური მართვის ბერკეტებსა და 17 მაისის მოვლენებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფეისბუქი განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი მთავარი, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი არა, მამოძრავებელი ძალაა. რიგ შემთხვევებში მან ხელი შეუწყო განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებაში უარყოფითი

დამოკიდებულების, ერთგვარი რელიგიური პრეჯუდისების გაღვივებას. სხვა შემთხვევებში კი პირიქით, ასეთი პრეჯუდისების გამანადგურებელ ინსტრუმენტად მოგვევლინა.

პირველ შემთხვევაში ფეისბუქმა, ერთგვარი პასუხისმგებლობის დიფუზიის ხარჯზე, სხვადასხვა ასაკისა და შეხედულებების მქონე ადამიანების დეინდივიდუაზიაციასაც კი შეუწყო ხელი და საბოლოოდ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ფაქტები მეტყველებენ, რომ ეკლესიამ თავის მთავარ იარაღად ფეისბუქი გამოიყენა, მაგრამ ასეთივე ბერკეტებით უპასუხეს უმცირესობების დამცველებმა - აქციაზე განვითარებული მოვლენების შემდეგ ლგბტ საზოგადოების ძალიან ბევრი მხარდამჭერი გვერდი და სტატია შეიქმნა, რაც შემდეგ, ცხადია, ფეისბუქის საშუალებით გავრცელდა და მომხმარებელთა ნაწილში რელიგიური პრეჯუდისების დაძლევას შეუწყო ხელი - ის პირები, რომლებიც უშუალოდ 17 მაისის აქციაზე მამაო ჩვენოს ძახილით სდევნიდა მოქალაქეებს მოგვიანებით თავადვე წერდნენ, რომ შეცდომაში შეიყვანეს და მოვლენების ასეთი განვითარება არასწორად გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა. ამ შემთხვევაში მათ უშუალოდ ეკლესიის მიმართ გაუჩნდათ აგრესია, ხოლო უმცირესობების მიმართ კი მეტი თანაგრძნობისა და ტოლერანტობის ნიშნები გაჩნდა.

დასკვნა

კვლევის შედეგები ნათლად მეტყველებს, რომ ჰიპოთეზა აშკარად დადასტურდა – სოციალური ქსელები, განსაკუთრებით კი ფეისბუქი, უპრეცენდენტოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს კულტურულ თუ სოციალურ რეალობასა და რელიგიურ ცხოვრებაზე.

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში ფეისბუქის ვირტუალურმა, მაგრამ მძლავრმა ქარმა ინფორმაციისა თუ კომუნიკაციის ისეთი არხები მოიტანა, რომელთაც „ჩაკეტილობის“ გახსნა და რწმენის რაციონალიზაცია ხელეწიფებათ. ფაქტია, რომ ფეისბუქი ჩვენს საზოგადოებას ცვლის, ოღონდ ცვლილება არა მხოლოდ სიახლისკენ სწრაფვას, არამედ სიძველის გაცოცხლებას და გატოტალურებასაც მოიცავს, რამაც, შესაძლებელია, სოციუმის გაუცხოება და ცივილიზებული სამყაროსგან გამიჯვნა გამოიწვიოს.

როგორც აღმოჩნდა, სამღვდელოების ნაწილისთვის საზოგადოების გახსნა და სიახლისკენ მიდრეკილება ძალაუფლების დაკარგვის პირდაპირპროპორციულია, მაგრამ ტექნოლოგიურ სიახლეებს, რაც ადამიანური ევოლუციის ბუნებრივი ნაწილია, ტრადიციული მეთოდებით ვეღარ ებრძვიან. მაშასადამე, ადგილი აქვს რელიგიური მაკონტროლებელი ბერკეტების გაციფრულებას, ციფრულ სამყაროში გადატანას, საიდანაც მრევლის მართვა უფრო და უფრო იოლი ხდება.

პირველ თავში განვითარებულ მსჯელობას იქამდე მივყავართ, რომ რელიგიური აქტივობა ქართველებისთვის ის მეტად სენსიტიური თემა აღმოჩნდა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში იოლად ტრანსფორმირდა, საბოლოოდ კი კონკრეტულ ადამიანებს თავზე ტაბურეტად დაატყდა. ერთი კონკრეტული რელიგიური ძალის მიერ „ჭეშმარიტებაზე“ საავტორო უფლებების დაწესება დღეს უკვე ფუნდამენტალიზმად მიიჩნევა. თუმცა, ფეისბუქ-მომხმარებელთა კრიტიკული დამოკიდებულება და მათი სოციალურ ქსელებში დაფიქსირება ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ფაქტი კი ერთია, ფეისბუქმა დიდი როლი ითამაშა ჰომოფობიის საწინააღმდეგოდ გამართული აქციის განვითარებაში, ხელი შეუწყო რელიგიური პრეჯუდისების განვითარებას, რაც საბოლოოდ რეალურ ცხოვრებაში აგრესიად და ადამიანის უფლებების ხელყოფად ტრანსფორმირდა. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით იმავე ფეისბუქმა საზოგადოების ნაწილში მსგავსი პრეჯუდისების რღვევის პროცესის ფასილიტაცია მოახდინა.

მაშასადამე, ქართულ კიბერსივრცეში სელფის ერთიანობა არ არსებობს. თითოეულ ინდივიდს ბევრი ონლაინ-იდენტობა გააჩნია, რომელთაც სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით კონტექსტურად ირგებს. ამგვარი ონლაინ-იდენტობები ზოგჯერ ფეისბუქ-გვერდების მიხედვითაც კი განსხვავდება: გვერდზე „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“ გაზიარებულ პოსტებზე კომენტირებისას ინდივიდმა ერთი, ხოლო გვერდზე „2 ივნისი - მოძრაობა მარიხუანას დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით“ გაწევრიანებისას სულ სხვა, ონლაინ-იდენტობაც კი მოირგოს. ასეთი იდენტობები წინააღმდეგობრივი და, ვირტუალური სამყაროს სპეციფიკის შესაბამისად, ხშირად ურთიერთგამომრიცხავია.

ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა ბადებს უფრო მეტ კითხვას, კითხვა კი ბრმადმორწმუნეობის წინააღმდეგ ეფექტური იარაღია. ინტერვიუების ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ფეისბუქში აღძრული რაციონალური რწმენის მოთხოვნილება სამომავლოდ პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ მართლმადიდებლობას უნდა დაუპირისპირდეს და მისი ტრანსფორმაცია მოახდინოს: გამორიცხული არ არის, რომ იგი, კათოლიციზმის მსგავსად, ევოლუციური გახდეს და კონსერვატორულობის სალტეები ჩამოიშოროს. ყოველ შემთხვევაში, ქართულ საზოგადოებაში ამის მზაობა არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

იუნგი კ.გ., „ფსიქოლოგია და რელიგია“, 2013, გამომცემლობა „დიოგენე“

მაისურაძე გ., „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“, 2011, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გროისი ბ., ესეები, 2014, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

უზნაძე დ., „განწყობის ფსიქოლოგია“, 1977, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, შოთა ნადირაშვილის რედაქცია

ნახ. 1 - საქართველოს ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 2014 წლის ანგარიში

Linger D. T. – Identity, A Companion to Psychological Anthropology: Modernity and Psychocultural Change - Edited by Conerly Casey and Robert B. Edgerton, 2005

Wiszniewski D. and Coyne R., Mask and Identity: The Hermeneutics of Self-Construction in the Information Age, 2002

Grover M., A theory Of Unified Online Identity, 2009, University of Saskatchewan Saskatoon

Turkle S., Life on the Screen: Identity in the Age of the Internet, 1995

Campbell H., Exploring Religious Community Online: We are one in the network, 2005

Campbell H., When Religion Meets New Media, 2010

Boyd & Ellison, 2007; Ellison, Steinfield, & Lampe, 2011

Groys B., Going Public, 2010

Groys B., Art Power, 2008

Brasher B. E., Give Me That Online Religion, 2001

https://www.facebook.com

http://www.media.ge

http://www.internetworldstats.com

http://dfwatch.net/